# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | ხუთშაბათი, 21 ნოემბერი 1996 №123 (347) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## დინამო 3:3 ბათუმი

დინამო: ზოიძე, კალაძე, ნ. ლობჟანიძე (ცქიტიშვილი 46), დიდავა, ზ. ჯელაძე (დემეტრაძე 41), გოგიჩაიშვილი, კეკნაძე, ჯამარაული, კერძევაძე, ლ. კობიაშვილი, იაშვილი

ბათუმი: ტოგონიძე, სიჭინავა, მინდაძე, შანიძე, შეყილაძე, ი. მახარაძე, მ. მახარაძე, ლლონტი, ტულუში, უჯმაჯურიძე, ა. მუჯირი (ტრაპაიძე 89)

0:1 უჯმაჯურიძე (35 პ), 0:2 ტულუში (37), 1:2 დემეტრაძე (44), 1:3 ლლონტი (60), 2:3 დემეტრაძე (61 პ), 3:3 ცქიტიშვილი (65)

გაფრთხილება: ი. მახარაძე, მინდაძე, კალაძე, მუჯირი, შანიძე, დიდავა

გაძევება: კალაძე, ი. მახარაძე

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

უცნაური გუნდია „ბათუმი“. მისგან ყველაფერს უნდა ელოდე. ზოგჯერ ჯიგრიანია, ზოგჯერ უჯიგრო, შემთხვევასა და მეტოქეს გააჩნია. სახელიანი გუნდი ზღისპირელთათვის კატალიზატორია. აი, ახლაც ვზივარ და ვფიქრობ, გუნდს, რომელიც ფრედ ამთავრებს შეხვედრას „ეინდჰოვენთან“, ამ შეხვედრასაც ქვეყნის უცვლელ ჩემპიონთან, რა ემართება სტუმრად თამაშისას უსახელოებთან? მიზეზი, ალბათ, ისევ განწყობასა და ხასიათშია საძიებელი, იმ ხასიათში, რომელიც მათ დინამოელთა წინაალმდეგ გამოაჩინეს. სამწუხარო მხოლოდ ერთი გახლდათ — ტურის და საერთოდ პირველი წრის ამ უმთავრესთაგანი შეხვედრისადმი გულშემატკივართა მცირე ინტერესი. რამდენიმე დღის წინ ეროვნულ სტადიონზე გერმანიის საელჩოს მიერ მოწყობილი ტურნირის ფინალს, რომელშიც შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდმა პარლამენტის რჩეულ ფეხბურთელებს 1:0 სძლია, გაცილებით მეტი მაყურებელი დაესწრო. არადა, თამაში სწორედ ისეთი გამოდგა, ფეხბურთის მოყვარულს უეჭველად რომ დააინტრიგებდა გოლების სიუხვით, წითელ-ყვითელი ბარათების ფრიალით და მოულოდნელი სიუჟეტური ზიგზაგებით. მოკლედ, სტადიონზე მოსულთ არაფერი წაუგიათ და ჩემპიონატის პირველი წრის ღირსეული თბილისური ფინალი იხილეს. თუმცა, ვისთვის როგორ: შედეგი სტუმართათვის უფრო სასიხარულო აღმოჩნდა, ვიდრე მასპინძელთათვის, რომლებმაც ვერ ვიტყვით, რომ თავისი საუკეთესო თამაში გვიჩვენეს.

სტუმრებმა საუკეთესო შემადგენლობით ვერ ითამაშეს. ხაშურში დაშავებამ როსტომ თორლაშვილი ამჯერადაც „დაასვენა“, პაატა მაჭუტაძეს კი კვლავ მენისკის ოპერაციის გაკეთება მოუწევს. ამ მხრივ, მოგეხსენებათ, არც თბილისელები არიან უკეთეს დღეში, რადგან მაჭავარიანი და ყიზილაშვილი მათთვის უდაოდ დიდ ძალას წარმოადგენენ. მოკლედ, შემადგენლობაში დანაკლისის მხრივ სტუმარ-მასპინძლები დაახლოებით ტოლ-სწორად იყვნენ.

უკვე მესამე ტურია, ბათუმელთა თამაშებს ვუყურებ და სამივეში გუნდმა განსხვავებული ტაქტიკური ვარიანტები ირჩია. უფრო სწორად, შოთა ჭეიშვილმა ზოგ მოთამაშეს სხვადასხვა ფუნქციები დააკისრა. ლიბეროდ კვლავ უფ-



კახა კალაძეს ცრემლები სდის, ბოლო თვეში უკვე მეორედ გააძევეს. პირველად ინგლისელ ახალგაზრდებთან, მეორედ კი გუშინ


საქართველოს ჩემპიონატი

15 ტური


| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 14 | 12 | 2 | 0 | 60:12 | 38 |
| ბათუმი | 15 | 10 | 4 | 1 | 49:9 | 34 |
| კოლხეთი | 15 | 10 | 2 | 3 | 34:19 | 32 |
| მარგვეთი | 15 | 9 | 1 | 5 | 26:21 | 28 |
| მერანი | 15 | 7 | 4 | 4 | 22:17 | 25 |
| ოდიში | 14 | 7 | 1 | 6 | 26:14 | 22 |
| გურია | 15 | 6 | 2 | 7 | 17:25 | 20 |
| დილა | 15 | 5 | 5 | 5 | 14:19 | 20 |
| ტორპედო | 15 | 6 | 1 | 8 | 32:34 | 19 |
| სამტრედია | 15 | 6 | 0 | 9 | 16:28 | 18 |
| შევარდენი | 15 | 4 | 6 | 5 | 17:19 | 18 |
| გორდა | 15 | 5 | 1 | 9 | 25:35 | 16 |
| სამგურალი | 15 | 4 | 2 | 9 | 14:33 | 14 |
| ივერია | 15 | 3 | 3 | 9 | 9:18 | 12 |
| სიონი | 15 | 3 | 2 | 10 | 11:22 | 11 |
| კახეთი | 15 | 4 | 0 | 11 | 6:34 | 7* |

## ბათუმი თბილისს ანერვიულებს

როსი მახარაძე, მალხაზი იყო, მარჯვნივ — შანიძე, მარცხნივ — მინდაძე, საყრდენი — სიჭინავა, მარჯვენა ჰავბეკი — ივანე მახარაძე, ამ პოზიციას ნაჩვევ ლლონტს კი გამთამაშებლობა დაეკისრა. მარცხნივ მუჯირი მოქმედებდა, თავდასხმაში — უჯმაჯურიძე და ტულუში.

თბილისელებმა ამათ 4-4-2-ს 3-5-2 შეაგებეს. უკანა მცველი — ლობჟანიძე, კაცზე — კალაძე და დიდავა, ხაზზე — კობიაშვილი და ჯელაძე, ნახევარდაცვაში ჯამარაული, კეკნაძე და გოგიჩაიშვილი, თავდასხმაში კი იაშვილი და კერძევაძე იყვნენ.

მზიანი დღე კარგი თამაშის წინაპირობა გახლდათ. მატჩი დინამოელთა იერიშებით დაიწყო. ისინი ფლანგების აქტიური გამოყენებით ცდილობდნენ ბათუმელთა დაცვის დაშლას, მაგრამ ესენი თავგამოდებით იცავდნენ თავს და თან კონტრშეტევის განხორციელების შანსსაც არ უშვებდნენ ხელიდან. კონტრშეტევები კი, გაგიხარიათ, სწრაფი და მწვავე გამოსდიოდათ. ამაში დიდი იყო სტუმართა ნახევარმცველების წილი, რომლებიც ბურთს აზრიანად ანაწილებდნენ, არ აყოვნებდნენ და ამის წყალობით დინამოელთა კარს მეტად სახიფათოდაც უტევდნენ. ფაქტია, ბათუმელებმა პირველ ტაიმში მოპოვებული უპირატესობა სწორედ ნახევარდაცვის უკეთესი თამაშის წყალობით მოიპოვეს. სტუმართაგან ქება-აღნიშვნას ყველა იმსახურებს, მაგრამ განსაკუთრებით გამოსარჩევია ახალგაზრდა ავთო ლლონტის აზრიანი მოქმედება. მოვლენებს წინ გავუსწრებ და ვიტყვი: ბათუმელთა სამივე გოლი სწორედ მისი აქტიურობის შედეგად გავიდა. ამასთან ლლონტი გამოსარჩევი იმიტომაც არის, რომ მარჯვენა ჰავბეკის პოზიციიდან მოედნის ცენტრში გადაადგილებულს ახალი ფუნქციის ათვისება არ გასჭირვებია.

თბილისელები კი შეტევებით იყვნენ გართულნი და ხშირად ზურგი უშიშვლდებოდათ, ერთმანეთის დაზღვევას ვერ ასწრებდნენ, წინ კი ბათუმელთა მასირებული დაცვის გარღვევას ვერ ახერხებდნენ. სტუმრებმა, ფაქტიურად, გადაკეტეს ფლანგები და მჭიდრო თამაშით დინამოელებს სათამაშო სივრცე შეუზღუდეს. მაყურებლები პირველად მე-9 წუთზე გამოცოცხლდნენ, როდესაც მუჯირმა მშვენიერი მოძრაობით ჩამოიტოვა ჯელაძე, თუმცა კარში უზუსტოდ დაარტყა. მე-15 წუთი. ავთო ლლონტი ეფექტურად თამაშობს, ორ მცველს გასცდა, თუმცა ბურთი ოდნავ წინ გაიგდო და კა-

იხილეთ მეორე გვერდი

დღევანდელი „სარბიელი“ თორმეტგვერდიანია

## შაბათ კვირას სპორტის სასახლეში



ძიუდოში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება. პირველ დღეს, 23 ნოემბერს საჭიდაოდ გამოვლენ მძიმე, 95 და 86 კილოგრამამდე წონითი კატეგორიების ძიუდოისტები. კვირას კი 24 ნოემბერს, სპორტის სასახლის ორი ტატამი 78, 71, 65 და 60 კილოგრამამდე წონითი კატეგორიების ფალავნებს დაეთმობათ. შეჯიბრება ორივე დღეს დილის 11 საათზე დაიწყება.



## ჩემპიონთა ლიგა
V ტური

CHAMPIONS LEAGUE

### A ჯგუფი

აიაქსი 1:2 ოსერი

0:1 დიომედი (11), 1:1 ბაბანგიდა (44), 1:2 მარლი (57)

რეინჯერსი 2:1 გრასჰოპერი

1:0, 2:0 მაკკოისტი (67 პ, 73), 2:1 ბერგერი (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:4 | 9 |
| აიაქსი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:4 | 9 |
| ოსერი | 5 | 3 | 0 | 2 | 6:6 | 9 |
| რეინჯერსი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:11 | 3 |

### B ჯგუფი

სტიაუა 1:1 ატლეტიკო

0:1 პანტიჩი (23), 1:1 ს. ილიე (46)

ვიძევი 2:2 დორტმუნდი

0:1 ლამბერტი (14), 1:1, 2:1 დემბინსკი (15, 20), 2:2 კოლერი (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 5 | 3 | 1 | 1 | 11:4 | 10 |
| დორტმუნდი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 |
| ვიძევი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:9 | 4 |
| სტიაუა | 5 | 1 | 1 | 3 | 2:10 | 4 |

### C ჯგუფი

ფენერბაჩე 1:0 რაპიდი

1:0 ჰოგი (76)

მანჩესტერი 0:1 იუვენტუსი

0:1 დელ პიერო (36 პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | 13 |
| ფენერბაჩე | 5 | 2 | 1 | 2 | 3:4 | 7 |
| მანჩესტერი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:3 | 6 |
| რაპიდი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:10 | 2 |

### D ჯგუფი

პორტუ 1:1 მილანი

0:1 დავიდსი (55), 1:1 ედმილსონი (70)

რუსენბორგი 1:0 გიოტებორგი

1:0 კამელსრუდი (67 პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 13 |
| მილანი | 5 | 2 | 1 | 2 | 12:9 | 7 |
| რუსენბორგი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:10 | 6 |
| გიოტებორგი | 5 | 1 | 0 | 4 | 6:10 | 3 |

მთავრულით გამოყოფილია მეოთხედფინალში უკვე გასული გუნდები

რგი შეტევის განვითარების შესაძლებლობა დაკარგა. იქვე კვლავ მუჯირმა მოატყუა დიდავა და სახიფათოდ ჩაჰკიდა, ბათუმელთაგან კი კართან არავინ აღმოჩნდა. 22-ე: ბურთიანად კერძევაძე მოედნის ცენტრიდან საჯარიმოს ხაზამდე გადაადგილდა და მოულოდნელად მეტად სახიფათოდ დაარტყა კარში, თითქოს უეჭველი ცხრიანისაგან კარი ტოგონიძის რეაქციამ იხსნა. 28-ე: იაშვილმა ბურთისთვის იბრძოლა და სახიფათოდაც დაარტყა. კვლავ ტოგონიძემ იმარჯვა. 30-ე წუთზე სურათი განმეორდა. 35-ე წუთზე კი მოხდა ის, რაც მოვლენათა განვითარების ლოგიკით უნდა მომხდარიყო კიდეც: ღლონტმა მშვენიერი დრიბლინგით „გაუარა" მასპინძელ მცველებს, ლობჟანიძეს კი სხვა არა დარ-

გონიძეს დაბალ კუთხეში დაურტყა. აქ მეკარეც შეცდა, ანგარიშში სხვაობაც შემცირდა და ტაიმიც დასრულდა.

ტაქტიკური გადაადგილებანი ყიფიანმა მეორე ტაიმშიც მოახდინა. შეცვლილ ლობჟანიძის ადგილზე დიდავა გაამწესა, კობიაშვილი კი დაცვაში დახია და კაცზე ათამაშა, მისი „ტერიტორია" კი ცქიტიშვილს მიანდო. ამან და დინამოელთა ნახევარდაცვის გააქტიურებამ განაპირობა კიდეც მეორე ტაიმის ხასიათი. მასპინძლები კვლავ უტევდნენ, ამასთან, ამჯერად სტუმრების ნახევარდაცვის შებოჭვაც მოახერხეს და გასაქანიც საგრძნობლად შეუზღუდეს. თუმცა, მეორე ტაიმის დასაწყისში, უფრო სწორად, ბათუმელთა მესამე გოლამდე, სტუმრები დაცვაში საიმედოდ მოქმედებდნენ,



დემეტრაძის ამ გოლამდე ბათუმი 2:0-ს იგებდა

რტყმელ პოზიციაზე, თუმცა გიორგიმ არაზუსტად დაარტყა.

ამის შემდეგ კიკნაძეს და ცქიტიშვილს შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ კომბინაცია ხეირიანად ვერ დაასრულეს. 86-ე და 89-ე წუთებზე კი მსაჯს ორჯერ მოუხდა წითლის აფრიალება. ჯერ იყო და კალაძეს ამოუღო მეორე ყვითელი და მოედანიც დაატოვებინა (ეს კახისთვის მესამე წითელია სეზონში). შემდეგ კი იგივე ივანე მახარაძეს გაუმეორა. სულ სილაგავამ 6-ჯერ ყვითელი და 2-ჯერ წითელი ბარათი ამოიღო, თუმცა, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ შეხვედრა უხეშად მიმდინარეობდა. მაგრამ სჯობს, ალბათ, ჩვენმა მსაჯებმა სილაგავას მიბაძონ და ჩვენივე ჩემპიონატიდან შეაჩვიონ მოთამაშეები სიმკაცრეს, რაც ევროპაში წესად აქვთ ქცეული არბიტრებს. მალე შეხვედრაც დასრულდა და მართლაც „საბრძოლო ფრემ" ერთი წლის წინანდელი გაგვახსენა — „ბათუმი" წელსაც კაცურად დაუდგა დინამოელებს, რაც ასე სანატრელი გაუხდათ თბილისელთა უხეირო მეტოქეების შემხედვარე გულშემატკივრებს. თამაშის შემდეგ მეტოქეთა განცდებიც ერთი წლის წინანდელს ჰგავდა — ბათუმელებს გული დასწყდათ, მოსაგები რომ გააყაიმეს, თბილისელებიც თავიანთ შეცდომებს ნანობდნენ — მათგან ხომ ნებისმიერ ჩვენებურ მეტოქესთან მოგებას ელიან. ასე იყო თუ ისე, ბათუმელებმა მეორე წლის წინ გულშემატკივარი დაინტრიგებული დატოვეს — როგორ წარიმართება ჩემპიონატის დარჩენილი ნახევარი და „დინამო" — „ბათუმის" მეორე წრის შეხვედრა?

ამ კითხვად ეს თამაში ნამდვილად ღირდა.

მატჩის შემდეგ ბათუმელთა მთავარმა

# ბათუმი თბილისს ანერვიულებს

ჩენოდა, ავთო ხელით შეაჩერა. მთელი შეხვედრის განმავლობაში ობიექტურმა ელგუჯა სილაგავამ უმალ პენალტის დანიშნა. 11-მეტრიანი დათო უჯმაჯურიძემ შეასრულა. იგი, ცოტა არ იყოს, გაუბედავი ნაბიჯებით გაემართა ბურთისაკენ, იმხელა იყო ამ დარტყმის მნიშვნელობა და ფსიქოლოგიური სიმძიმე და ზუსტად, თუმცა სუსტად დაარტყა კარის დაბალ მარჯვენა კუთხეში. ზოიძემ მოასწრო რეაგირება, ბურთსაც მისწვდა, თუმცა სწორედ ამის გამო უფრო დასწყდებოდა გული — ანგარიში მაინც გაიხსნა. გაშვებულმა გოლმა თბილისელები მცირე ხნით დააბნია და ეს მცირედიც კი საკმარისი აღმოჩნდა ბათუმელთათვის საიმისოდ, მეორე გოლი რომ გაეტანათ. 37-ე წუთზე თბილისელი მცველები კვლავ შეცდნენ, ტულუშის თამაშგარეში დატოვება მოისურვეს, არ გამოუვიდათ და ღლონტის გადაცემით ტულუში მეკარესთან პირისპირ დარჩა. დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმე იყო, რომელიც ბათუმელს არ აკლია, მოატყუა ზოიძე და მახვილი კუთხიდან ანგარიში ორამდე გაზარდა.

ეს უკვე საგანგაშო იყო თბილისელთათვის. ყიფიანმაც მდგომარეობის გამოსასწორებლად ცვლილებებს მიმართა. ჯელაძის ნაცვლად შემოსულმა დემეტრაძემ თავდასხმაში დაიკავა კერძევაძის ადგილი, „ბაჯბაჯა" კი მარჯვენა ფლანგზე ჯელაძის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. დემეტრაძე რომ ყისმათიანი მოთამაშეა, კიდევ ერთხელ დაამტკიცა. ბურთთან, თუ არ ვცდები, პირველივე მიკარება გოლით დაასრულა. მან ბათუმელი მცველების პირველი სერიოზული შეცდომით ისარგებლა და ტო-

ეგ იყო, ორჯერ კობიაშვილის დარტყმა მაინც გაეპარათ. ბათუმელებმა მესამე გოლი სწორედ მაშინ გაიტანეს, როცა დინამოელთა შეტევები უფრო და უფრო მწვავდებოდა. აქ ყველაფერი ღლონტის ინდივიდუალურმა და ერთობ ეფექტურმა მოქმედებამ გადაწყვიტა. ბათუმელმა ოსტატურად აუარა გვერდი რამდენიმე მცველს და თან ზოიძეს ლამაზად გადააპარა ბურთი თავზე მახვილი კუთხიდან. 3:1 — ბათუმელთა სასარგებლოდ.

ეს გოლი თითქოს დინამოელთა საბოლოო მარცხს მოასწავებდა, მაგრამ მალე ვითარება ელვისებური სისწრაფით შეიცვალა. მესამე გაშვებული გოლის შემდეგ თბილისელთა პირველივე კომბინაცია ბათუმელთა კართან ჯამარაულის წაქცევით დასრულდა. პენალტი დემეტრაძემ დაარტყა და ზუსტადაც. 65-ე წუთზე კი ბათუმელთა ჯერ დაცვა, შემდეგ კი მეკარე მეტად მარტივ ვითარებაში შეცდნენ: მარჯვენა ფლანგიდან კერძევაძის გადაცემის შემდეგ ცქიტიშვილი კართან მარტო აღმოჩნდა და ცქიტიშვილმა თაურით ანგარიში გაათანაბრა — 3:3. მოკლედ, ყველაფერი თავიდან დასაწყები შეიქნა. გატანილ გოლს მასპინძლებმა ჯამარაულის რამდენიმე სახიფათო „გასროლაც" მიაყოლეს, მაგრამ ტოგონიძემ საიმედოდ ითამაშა. დარჩენილ დროში ყველაზე სახიფათო, თანაც ნაღდი საგოლე მომენტი მაინც ბათუმელებმა შექმნეს: მე-80 წუთზე ტულუშმა კედელი გაითამაშა უჯმაჯურიძესთან, უსწრაფესად გავიდა ზოიძესთან პირისპირ, თუმცა ბოლოს ველარ ივარგა და დარტყმული ზოიძემ მოიგერია. 82-ზე კი ჯამარაულმა დემეტრაძე გაიყვანა დასა-

მწვრთნელმა შოთა ჭეიშვილმა კითხვაზე, დაღლილობის გამო ხომ არ შენელდა მეორე ტაიმში ბათუმელთა აქტიურობა, ეს გვიპასუხა:

— არა მგონია, ეს დაღლის ბრალი ყოფილიყო. უბრალოდ, ასეთია ფეხბურთელის ფსიქოლოგია — 3:1 რომ დაწინაურდები, მითუმეტეს სტუმრად, და თანაც „დინამოსთან", მოთამაშეები ანგარიშის შენარჩუნებაზეღა ფიქრობენ.

ავთო ღლონტი ბათუმელთაგან და საერთოდ შეხვედრაში ყველაზე სასარგებლო მოთამაშე იყო. ზემოთაც აღვნიშნე, სამი გოლი მის აქტიურობას მოჰყვა-მეთქი. დინამოელების წინააღმდეგ მან ყოველგვარი შიშისა და რიდის გარეშე, ტექნიკურად, ეფექტურად და უაღრესად აზრიანად ითამაშა.

— რა შიშზეა ლაპარაკი? — გაიკვირვა ავთომ — არანაირი შიში არ მქონია. კარგად მსურდა მეთამაშა, საამისოდ ყველა განვეწყვეთ და რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ.

**— შენი აზრით, დღეს მოგება რეალური იყო?**

— შეგვეძლო და გული მწყდება, რომ ვერ მოვახერხეთ. 3:1-ის შემდეგ მოგების ხელიდან გაშვება იქნებოდა?

ბათუმელთაგან თემურ ტულუშიც გამოირჩეოდა. ერთი გოლი მის ანგარიშზეც არის, თუმცა თემურს დიდხანს და დანანებით ემახსოვრება ის მომენტი, როდესაც მე-80 წუთზე კვლავ შეეძლო თავისიანების დაწინაურება.

— ბურთი მოძრაობაში მივიღე, გავიფიქრე, ეგრევე ძლიერად დავარტყამ-მეთქი, მაგრამ არ გამომივიდა — ბურთი ზოიძეს მოვარტყი.

**მერაბ მამულაშვილი**

# ტრანსფერებზე, სასჯელებზე და ჩივაძეზე: აცადეთ, ბატონო...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გუშინ უჩვეულოდ ხალხმრავალი იყო. მიზეზი ის გახლდათ, რომ დანიშნული იყო ეროვნული ჩემპიონატის პირველ ჯგუფში მოასპარეზე გუნდების მთავარ მწვრთნელთა შეხვედრა-თათბირი, რომელზეც ჩვენი ფეხბურთის ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხზე უნდა ემსჯელათ. დათქმული დროისთვის მწვრთნელები ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის სამუშაო ოთახში შეიკრიბნენ და სხდომაც დაიწყო. ფედერაციის მხრიდან თათბირს გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე და საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე ბადრი ქარქაშაძეც ესწრებოდნენ.

თათბირი ჩვენებურ ტრანსფერებზე მსჯელობით დაიწყო, რამაც საკმაოდ ცხარე პოლემიკა გამოიწვია. მწვრთნელების ნაწილი პირველი წრის მერე ნებადართული შესამატებელი მოთამაშეების რაოდენობის გაზრდას მოითხოვდა, ზოგიერთნი კი შეზღუდვების საერთოდ გაუქმებას უჭერდნენ მხარს. შეგახსენებთ, რომ პირველსა და მეორე წრეებს შორის გუნდს მხოლოდ ორი ფეხბურთელის შემატება შეეძლო. ბევრი კამათისა და ბჭობის შემდეგ გადაწყდა, რომ გუნდებს წრიდან წრემდე ოთხი მოთამაშის შემატების უფლება მიეცათ. ამის მერე მწვრთნელთა მოთხოვნით ფეხბურთელთა კლუბიდან კლუბში „გადაადგილების" ვადებიც შეკვეცეს. თუ აქამდე ბოლო დღე 20 თებერვალი იყო, ამიერიდან 15 თებერვალი დადგინდა. სწორად მიგვაჩნია ის გადაწყვეტილება, რომელიც გადამსვლელ-გადმომსვლელი ფეხბურთელების რაოდენობის შეზღუდვას შეეხო. ეს რაოდენობა რომ არ შეეზღუდათ, ზოგიერთი ჩვენი „გალეტილი" გუნდი, ადვილი შესაძლებელია, მთლად უფეხბურთელებოდ დარჩენილიყო.

მეორე საკითხი ფეხბურთელების დასჯა იყო. აქამდე ასე ყოფილა — მოთამაშე, რომელიც ორ გაფრთხილებას დაიმსახურებდა, ავტომატურად ტოვებდა მომდევნო თამაშს, ხოლო თუ ამათ მესამე ბარათსაც მიამატებდა, კიდევ ერთი შეხვედრისას მოუწევდა მაყურებლებში ჯდომა. ეს წესი ნაწილობრივ შეიცვალა. მოთამაშე, რომელიც ორ გაფრთხილებას მიიღებს, მომდევნო მატჩს კი გამოტოვებს, მაგრამ მესამე შეცდომებისას იგი მინდორზე გამოვა. მაყურებლებში გადანაცვლება მას მხოლოდ მეოთხე ყვითელი ბარათის შემდეგ მოუწევს. თუ ფეხბურთელს ჩემპიონატის მსვლელობისას ექვსი გაფრთხილება დაუგროვდა, მისი საკითხი ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე გაირჩევა. სწორედ აღმასკომზე გამოუტანენ შესაბამის სასჯელს კლუბსაც და ფეხბურთელსაც.

ამათ მერე განხილვის საგანი თელავის „კახეთის" მთავარი მწვრთნელის ჯონი ჯანელიძის მიერ წამოჭრილი საკითხი გახდა. ჯანელიძემ პირველი ჯგუფიდან სამი გუნდის გავარდნა მეტისმეტად მიიჩნია და დასძინა, ბოლო ორ ადგილზე გასულნი პირდაპირ გავარდნენ, მესამეს კი გადათამაშების უფლება მიეცეთო. ეს ყოველივე ამ ჩემპიონატზეც უნდა გავრცელებულიყო, ამიტომ წინადადებამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. მისი მიღება დებულების დარღვევის ტოლფასი იქნებოდა. აბა, ახლა მეორე ჯგუფში გამარჯვებულს ვკითხოთ, სიმწრით რომ მოიპოვებს პირველი ჯგუფის საგზურს, სურს თუ არა ხათაბალაში გარევა და მთელი სეზონის ნაჯაფარის ორ მატჩში დაკარგვა. ასეთი ფორმულა უცხო არ არის ზოგიერთი ევროპული ქვეყნის ჩემპიონატებისთვის, მაგრამ ყოველივე სეზონის დაწყებამდე უნდა იყოს ცნობილი, თორემ მერე, შუა ჩემპიონატში დადგენილის შეცვლა დიდ არეულობას გამოიწვევს...

თათბირის დასასრულს გაჩაღდა პოლემიკა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ალექსანდრე ჩივაძის თაობაზე. დაინტერესდნენ, რამდენწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა ჩივაძეს ეროვნულ გუნდთან. სხვათაშორის, რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, არა მგონია, საქართველოში ბევრს ცოდნოდა, რა ხნით ანდეს ამჟამინდელ მწვრთნელს ეროვნული გუნდი, მათ შორის ჟურნალისტებსაც. აღმოჩნდა, რომ ალექსანდრე ჩივაძის კონტრაქტის ვადა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლომდე ყოფილა. შეკრებილმა მწვრთნელებმა ასე გადაწყვიტეს — ციკლის ბოლომდე ენდონ ჩივაძეს და სოლიდარობაც გამოუცხადონ...

ეს იყო და ეს. ამის მერე პრეზიდენტის ოთახში ის მწვრთნელები დარჩნენ, რომელთაც თასის გათამაშების მერვედფინალის კენჭისყრაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ამათ ზოგიერთი კლუბის პრეზიდენტიც შეემატა და საქმეც დაიწყო. თავიდან კამათი იმაზე გაჩაღდა, როგორი პრინციპით ჩაეტარებინათ კენჭისყრა. გენერალურმა მდივანმა დავით კვინიკაძემ ორი ვარიანტი წარმოადგინა: ერთი ტერიტორიულ პრინციპს ითვალისწინებდა, მეორე — გუნდების განთესვას. ტერიტორიულ პრინციპს მოწინააღმდეგენი უმალ გამოუჩნდნენ, კერძოდ, ლანჩხუთის „გურიას" და ზუგდიდის „ოდიშის" წარმომადგენლები. ისინი თავიანთ მოსაზრებას ასე ასაბუთებდნენ: აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან თანაბარი ოდენობის — რვა-რვა გუნდი კი გამოდის, მაგრამ თასის გათამაშებას დასავლეთიდან უფრო ძლიერი გუნდები შემორჩნენ და კენჭისყრის ასე ჩატარება არასწორად მიგვაჩნიაო. მომხრეებიც იყვნენ, რომლებიც გუნდების სიძლიერეს გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. ზოგიერთთათვის სულ ერთი იყო, ვის შეხვდებოდა, ოღონდ მეტოქე რგებოდა. ამ უკანასკნელთა შორისაც ორი დაჯგუფება იყო. პირველნი ძლიერები, რომლებსაც თავიანთი ძალისა სჯეროდათ, სუსტები კი მაინც განწირულები არიან და შემდეგ წრეში გასვლის იმედი არცა აქვთ. კენჭისყრის სისტემის ჩატარებას კენჭი უყარეს და ტერიტორიულ პრინციპს ერგო უპირატესობა. წინააღმდეგი მხოლოდ სამი გუნდი აღმოჩნდა — „ოდიში", „გურია" და „სამტრედია". თავიდანვე ცნობილი იყო, პირველი მეორეს შეხვდებოდა, მესამე — მეოთხეს და ასე შემდეგ. შეთანხმდნენ, რომ პირველ მატჩს შინ კენტრიცხვიანები ითამაშებდნენ. აღმოსავლეთიდან მხოლოდ ორ გუნდს ჰყავდა გამოგზავნილი ერთი წარმომადგენელი. გათამაშებას ხომ ორივე „დინამო" შემორჩა. მათი კენჭები „დინამოს" დირექტორატის წევრმა მერაბ რატიანმა ამოიღო და დახეთ ბედის სიმუხთლეს, ორივე ერთმანეთს არ დაეჯახა?!

| | |
|---|---|
| გორდა | მერანი |
| სკა | სიონი |
| ივერია | შევარდენი |
| სამტრედია | კოლხეთი |
| სამგურალი | ოდიში |
| გურია | მარგვეთი |
| ბათუმი | ტორპედო |

პირველი მატჩები პირველად დასახელებული გუნდების მინდორზე გაიმართება.

თასის მერვედფინალური მატჩები კალენდრის მიხედვით დღეს უნდა გამართულიყო, მაგრამ რადგან ერთ-ერთი მერვედფინალისტის ვინაობა გუშინწინ გაირკვა, კენჭისყრა კი გუშინ ჩატარდა, ბუნებრივია, მერვედფინალური შეხვედრების ჩატარების თარიღმაც გადაინაცვლა. გუნდები ასე შეთანხმდნენ: პირველი მატჩი 25 ნოემბერს გაიმართოს, საპასუხო კი 29-ში. არ არის გამორიცხული, მეოთხედფინალებიც წელსვე ვიხილოთ, რადგან კალენდრით ასეცაა გათვალისწინებული, მაგრამ ბევრი რამ მეტეოპირობებზეც იქნება დამოკიდებულიო, აღინიშნა კენჭისყრის დასასრულს.

**მამუკა კვანტალიანი**

# ახალმა დებულებამ თელაველებიც აატირა

19 ნოემბერს ფეხბურთის ფედერაციაში გამართულმა სადისციპლინო კომიტეტის სხდომამ სამი საკითხი გაარჩია. პირველი ორი მსაჯების ფიზიკურ შეურაცხყოფას შეეხებოდა. თელავში, იქაური „კახეთისა" და ზესტაფონის „მარგვეთის" მატჩის შემდეგ, რომელიც სტუმართა გამარჯვებით დასრულდა, გაილახა მთავარი არბიტრი მერაბ მალალურაძე. ეს ძალადობა გულშემატკივართან ერთად კლუბის ერთ-ერთი წარმომადგენლის ნამუსზეცაა. დებულების თანახმად, თელაველებს 5 ქულა ჩამოაკლდათ. „კახეთი" პირველი ჯგუფის პირველი გუნდია, ასე მკაცრად, მაგრამ სამართლიანად რომ დაისაჯა.

მეორე ჯგუფის რიგვე ზონის გუნდებისთვის 5 ქულის ჩამოკლება უცხო ხილი ნამდვილად არ იყო. ახლა მათ კიდევ ერთი ცოდვილი, ფოთის „კოლხეთი 2" მიემატა. კოლხებმა მსაჯების — ჩოჩიშვილის (მთავარი) და მდინარაძის (გვერდითი) უსაფრთხოება ვერ უზრუნველჰყვეს. ტყიბულის „მეშახტესთან" საშინაო თამაშში, მას შემდეგ, რაც მატჩის ბოლო წუთებზე სტუმრებმა გოლი გაიტანეს, მაყურებელი სტადიონზე გაცვივდა და ზემოთ ნახსენებ არბიტრებს გვარიანად მოხვდათ. სასჯელმა დასავლეთ ზონაში აქამდე მეოთხე „კოლხეთი 2" საგრძნობლად უკან დაწია.

ორ-ორი მატჩით დისკვალიფიკაცია და 100 ლარი ჯარიმა დაიმსახურეს „კოლხეთი 1913"-ის შალვა ხუჯაძემ და „გურიას" ირაკლი ფაცურიამ. ამათ ამ გუნდების შეხვედრისას, რომელიც ფოთელებმა მინიმალური ანგარიშით მოიგეს, ერთმანეთი თვალში არ მოუვიდათ და კარგადაც ლანძღეს ერთურთი.

**მამუკა კვანტალიანი**

## ვის დაიმატებს „დინამო"?

ითამაშებენ თუ არა ზაზა რევიშვილი და მურთაზ შელია თბილისის „დინამოში"? ამ კითხვით მივმართეთ „დინამოს" პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას.

— ამ საკითხზე მიმდინარეობს მოლაპარაკება თვითონ ფეხბურთელებთან და „ალანიას" ხელმძღვანელობასთან. ყოველ შემთხვევაში, ინგლისის ტურნეში ეს ორი მოთამაშეც გამოგვყვება, ჯერ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ „დინამომ" ინგლისში ღირსეულად ითამაშოს.

**— მართალია, რომ მეორე წრისთვის გუჩუას და აშვეთიას აყვანას აპირებთ?**

— ჩვენ ხუთი მოთამაშე გვყავს შეგულებული, თუმცა მათგან რომელს ვამჯობინებთ, ჯერ არ გადაგვიწყვეტია. მათი არჩევა დავით ყიფიანის საქმეა.

# გუნდია თუ მაყრიონი

**დინამო 2 2:0 დილა**

დინამო: ლომაია, მესხი, შაშიაშვილი, დავითნიძე (რუხაძე 85), დ. მუჯირი, კობრეიძე (გაგუა 62), კვარაცხელია, მაისურაძე, ბაჯელიძე, მიქაძე, ხუციშვილი

დილა: მდივანი, ლომიძე, რ. ხაჭაპურიძე, ფეზუაშვილი (თაყაძე 60), თარხნიშვილი, ნ. გაგნიძე, მარეხაშვილი (ჯალაბაძე 25), ტაბატაძე, რევაზიშვილი, წკრიალაშვილი, კაიდარაშვილი

1:0 ხუციშვილი (6), 2:0 გაგუა (89)

გაფრთხილება: კობრეიძე, ხუციშვილი, ხაჭაპურიძე

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

გორელები თამაშის დაწყებამდე 15 წუთით ადრე, სამი მსუბუქი ავტომანქანით მოვიდნენ ეროვნულ სტადიონზე. „დილას“ პრობლემებზე არაერთხელ დაგვიწერია, მაგრამ, ეტყობა, ახლა მდგომარეობა უაღრესად კრიზისულია. ფეხბურთელები თბილისს გამომგზავრებას თურმე სულაც არ აპირებდნენ. მიზეზი ძველია — ხელფასების გადაუხდელობა. რაიონის თავკაცებს შეუტყვიათ, გუნდი სათამაშოდ არ მიდისო და დაფაცურებულან, ფეხბურთელებს გამგებელიც შეხვედრია, და როგორც იქნა, გუნდი დაპირებებით თბილისს გამოუსტუმრებია. ამასობაში ახალგაზრდა დინამოელები ხურდებოდნენ, თამაშისთვის გულმოდგინედ ემზადებოდნენ. გორელებს კი დრო მხოლოდ იმისთვის ეყოთ, რომ ტანთ გამოეცვალათ და, ფაქტიურად, პირდაპირ გავიდნენ მოედანზე. გარდა ამისა, სტუმრებს სხვადასხვა მიზეზით ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდათ. ვერაფრით მოირჩინა მტკივანი ხელი ძირითადმა მეკარემ სოლოლაშვილმა, არ იყო ორგაფრთხილებნი ბალაშვილი, ვერ ჩამოვიდნენ ჯამბულ გაგნიძე და ციცქიშვილი. თუ ყოველივეს იმასაც დავუმატებთ, რომ „დილა“, ფაქტიურად, არ ვარჯიშობს, ადვილი მისახვედრია, რატომ უწინასწარმეტყველებდნენ სპეციალისტები გამარჯვებას მასპინძლებს.

თამაში დინამოელთა უპირატესობით დაიწყო. მათმა მონდომებამ მალე გამოიღო ნაყოფი: მცველებმა მიქაძესთან ორთაბრძოლაში ბურთი საკუთარი მეკარისკენ მოიგერიეს, მდივანმა თავისკენ გადმოვარდნილი ბურთის მკერდით გაჩერება მოინდომა, მაგრამ გაექცა. გამოვარდნილი ბაჯელიძემ კარში დაარტყა, მდივანმა მოიგერია, მაგრამ ხუციშვილმა დაამატა და ცარიელ კარში შეაგორა. გოლმა მასპინძლებს ფრთები შეასხა. ისინი უნარიანად ამოქმედნენ და მთელ მოედანზე გაბატონდნენ. ცენტრში თამაშს მუჯირი და კვარაცხელია აკონტროლებდნენ, საიმედოდ ირჯებოდა დაცვა, აქტიურობდნენ განაპირა ნახევარმცველები, ხოლო თავდამსხმელები უბუ[illegible]ოდაც საკმაოდ მოძრაობდნენ. ამ შეწყობილი ანსამბლიდან მაინც ოთხ ფეხბურთელს გამოვყოფდით: ლომაია თამაშებში ჭიპმოჭრილ, დალვინებულ და გამოცდილ მეკარეს მოგაგონებდათ. ახალგაზრდის კვალობაზე ასეთი მშვიდი, თავდაჯერებული და საიმედო გოლკიპერი, პირადად მე, ჯერ არ მინახავს. მას ელემენტარული შეცდომაც არ დაუშვია, სიმშვიდე თანაგუნდელებსაც გადასდო, რომელთაც ეტყობოდათ, რომ მისი სახით საიმედო მეკარე ეგულებოდათ. ჩინებულად თამაშობდა გამოსვლებზე, რითაც საქართველოში ბევრი მეკარე ვერ დაიკვეხნის. მარჯვენა მცველი მესხი დაცვაშიც საიმედოდ ირჯებოდა და შეტევებშიც ხშირად ერთვებოდა. კვარაცხელიაზე კი იმას ვიტყვით, რომ ასეთი საყრდენი ნახევარმცველი ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ბევრმა გუნდმა ინატროს. ამან, თუ იშრომა, დიდი ფეხბურთელი უნდა დადგეს. რაც შეეხება დათო მუჯირს, იგი უდავოდ ნიჭიერი ნახევარმცველია. ეგაა, ტრავმებმა გააწვალეს, თუმცა გამოჯანმრთელებულს ეტყობოდა, რომ ფორმასაც თანდათან იბრუნებს. დათო უნარიანად უძღვებოდა თავისი გუნდის შეტევებს.



ბადრი ქათამაძის ფოტო

საჰაერო ბრძოლა „დილის“ კართან

პირველი გოლის მერე დინამოელებს კიდევ ორჯერ შეეძლოთ გატანა, მაგრამ მდივანთან პირისპირ გასულმა მაისურაძემ და ხუციშვილმა ვერ იყოჩაღეს. ამასობაში გორელებს მარეხაშვილი დაემტვრათ და მწვრთნელებმა იგი შეცვალეს. „დილამ“ პირველი ნახევრის ბოლოს ორი მომენტი გააცუდა. ჯერ იყო და, ტაბატაძის კარგი გადაცემის შემდეგ კართან მარტო დარჩენილმა კაიდარაშვილმა ბურთს თავი ააცილა, მეორედ, ფეზუაშვილის ახლოდან დარტყმული ლომაიამ ნახტომში მოიგერია.

მთელი მეორე ტაიმი „დილა“ უტევდა, მაგრამ ვერც მასპინძელთა სწორად ორგანიზებულ დაცვას მოუხერხა რამე, ვერც დინამოელთა გოლკიპერს. დავითნიძეს ხაჭაპურიძემ ბრძოლაში ფეხი მიარტყა და დინამოელთა მეოთხე ნომერს ექიმის დახმარება დასჭირდა. დრო კი იწურებოდა, გორელები ისევ უტევდნენ. მათი აქტიურობა ლიბერო თარხნიშვილის ცენტრალურ ნახევარმცველად წაწევამაც განაპირობა, მაგრამ ვაჟას მონდომებამ სტუმრებს მაინც ვერ უშველა. ბოლოსწინა წუთზე სტუმარ მცველებს შეცვლაზე შემოსული გაგუა გაეპარა და ანგარიში 2:0 გახდა. გორელთა მცდელობას — ერთი ბურთი გაექვითათ და საქმე დამატებით დრომდე მიეყვანათ, შედეგი არ მოჰყოლია, ხოლო გუნთაძის სასტვენმა, ამდენი ხნის ლოდინის მერე, როგორც იქნა, ერთადერთი გაურკვეველი მერვედფინალისტიც გამოავლინა.

გორელები გულდაწყვეტილები წავიდნენ, მაგრამ შედეგი ლოგიკური იყო. უშრომლად არაფერი მოდის, დინამოელებმა კი შემდეგ წრეში გასვლა დაიმსახურეს. [illegible] უკვე მერამდენე წელია, „დილას“ ფინანსური პრობლემები ახრჩობს. არადა, დასანანია, „დილაში“ მეტად ნიჭიერი თაობა მოდის და ყურადღება თუ არ იქნა, ამ ახალგაზრდებმა შეიძლება ფეხბურთზე სულაც აიცრუონ გული.

**მამუკა კვანტალიანი**

დიდებულ „სან სიროზე“ მილანის „ინტერმა“, წინა ტურში თბილისის დინამოელთა მძლეველი „ბოავიშტა“ დაიბრიყვა. განა გაქარწყლდა ის მწარე ნალექი, პორტუში საქართველოს ჩემპიონის 0:5 გაცამტვერებამ რომ დაგვიტოვა?! ახლა იგივე სიმწარე ბედმა ჩვენთან გალაღებულ პორტუგალიურ გუნდს აგემა. ჩვენ წაგებას ისე არ ვჩივით, ასეგარიში გვალიზიანებს. ალბათ დღეს ასევე არიან პორტუელები. საბოლოოდ კი გამოდის, რომ თბილისიდან მილანამდე არა მხოლოდ სამიათასამდე კილომეტრი და ხელოვნური ოთხსაათიანი სხვაობაა, არამედ სხვა, ვეებერთელა დაშორებაცაა, ოღონდ ის რა ერთეულით გავზომოთ, ვერ გეტყვით.

22 წუთში უკვე 3:0 იყო. ფრანგი შთამაგონებლის იური ჯორკაეფის გარეშე „ინტერმა“ მე-6 წუთზე გახსნა ანგარიში. გოლი შვეიცარიელმა ჩირიაკო სფორცამ გაიტანა. შვიდი წუთის შემდეგ ფრანგმა ზანგმა ჟოსელინ ანგლომამ დააწინაურა იტალიური გუნდი. მაურიციო განცმა ხელი 22-ე წუთზე გამოიღო და ტრიბუნებზე შეკრებილ მილანელებს გაახსენდათ, რომ გასულ ექვს სეზონში ორჯერ მოიპოვეს უეფას თასი.

მეორე ტაიმის მესამე წუთზე სტუმრების ანგოლელმა მცველმა პედრო ემანუელმა გაწითლებული მეორე ყვითელი მიიღო და სკამს მიაშურა. ესლა აკლდათ სფორცამ და განცმა 57-ე და 65-ე წუთებზე თითოჯერაც გაიხარეს. 61-ზე სურინამელმა ჯიმიმ ფხა გამოიჩინა და ხახამშრალ წაგებას გადაარჩინა „ბოავიშტა“.

„ინტერის“ ასეთი გამარჯვება ინგლისურ „ბლექბერნს“ გულზე მეხად დაეცა. საქმე ის გახლავთ, რომ უმწვრთნელო „ბლექბერნმა“ მილანელთა თავკაცს, თანამემამულე როი ჰოჯსონს ორწელიწადნახევარში ორი მილიონი გირვანქა და თავისი აწეწილი საქმეების გამოსწორება შესთავაზა. უნდა კი ჰოჯსონს აწყობილი სქმის მიტოვება და ინგლისში ვაგლახი? ცხადია, არა. მითუფრო, რომ „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ განაცხადა, სულაც არ მინდა მისი გაშვება, ჩვენ ერთმანეთს უაღრეს პატივს ვცემთო.

—მე ვესაუბრე პრეზიდენტს, რომელმაც მითხრა, რომ კვლავაც „ინტერის“ მწვრთნელად სურს ჩემი ხილვა. თუ ასეა, მე ბედნიერი ვარ — თქვა ჰოჯსონმა.

ჰოჯსონს მართლაც დიდებული წელიწადი უდგას და თუ ყველაფერი კარგად წაუვიდა, ბედნიერება მერე ნახეთ. ჯერ ერთი, „ინტერი“ იტალიის პირველობის ლიდერია, მეორეც, თასის მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში თვით „იუვენტუსს“ 3:0 მოუგო და სანახევროდ ნახევარფინალშია, ხოლო უეფას თასზე როგორც ირჯება, ამწუთას ვთქვით.

„მონაკო“ გერმანულ გუნდებს დაერია. მეთექვსმეტედფინალში მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ დიდი ბრძოლით ჯამური 4:3 მოუგო და შეჯიბრებიდან გამოთიშა, ახლა კი მოსკოვის „სპარტაკისთვის“ დაუძლეველ „ჰამბურგს“ შინ 3:0 სძლია. მონაკოში წვიმიანი, უამური ამინდი იდგა და პირველ ტაიმიც ამინდისმაგვარი გამოდგა. მეორეში მასპინძლებმა ლაგამი ამოსდეს მოწინააღმდეგეს. 48-ე წუთზე ბრაზილიელმა სონი ანდერსონმა ახალგაზრდა ლილიან მარტინის პასით თაური გაიტანა. 52-ზე ნიგერიელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვიქტორ იკპებამ და „ჰამბურგის“ მეკარემ რიხარდ გოლცმა მოხდენილი დარტყმამოგერიებით საუცხოო სანახაობა შესთავაზეს ტრიბუნებს. იკპება ჯიუტი კაცი ყოფილა, 70-ე წუთზე ალი ბენარბიასთან „ერთი-ორი“ გაითამაშა და ანგარიში 2:0 გახადა. ეს იყო იკპებას მეოთხე გოლი უეფას თასის ამ გათამაშებაში. ექვსი წუთი რომ გამოხდა, მცველმა პატრიკ ბლონდომ 14 მეტრიდან დაბალი დარტყმით ანგარიშს მარილი მოაყარა და აწი „მონაკოს“ მეოთხედფინალის სურნელი მოუდის.



მონაკო — ჰამბურგი. ტირეი ანრის და ანდრეას ფიშერის ორთაბრძოლა

**უეფას თასის მერვედფინალი. პირველი შეხვედრები**

UEFA CUP

| | |
|---|---|
| [illegible]უგე (ბელგია) — შალკე (გერმანია) | 2:1 |
| მონაკო (საფრანგეთი) — ჰამბურგი (გერმანია) | 3:0 |
| ჰელსინგბორგი (შვედეთი) — ანდერლეხტი (ბელგია) | 0:0 |
| ინტერი (იტალია) — ბოავიშტა (პორტუგალია) | 5:1 |
| მეცი (საფრანგეთი) — ნიუკასლი (ინგლისი) | 1:1 |
| ბრონდბიუ (დანია) — კარლსრუე (გერმანია) | 1:3 |
| ვალენსია (ესპანეთი) — ბეშიქთაში (თურქეთი) | 3:1 |
| ტენერიფე (ესპანეთი) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) | 0:0 |

# თოვდა, წვიმდა, მწვრთნელები მიდიოდნენ და რჩებოდნენ

რაც შეეხება ყმაწვილკაც ტირეი ანრის, „ვარსკვლავ-ბიჭუნად“ რომ ითვლება, მწვრთნელმა ჟან ტიგანამ თამაშში მოგვიანებით ჩართო და მანაც ბურთთან პირველივე შეხებით გოლცს ბურთი კუთხურზე მოაგერიებინა.

„ჰამბურგელების“ ერთადერთი გაავება 19 წლის ბოსნიელის, ჰასან სალიჰამიჯიჩის დარტყმა იყო, კარს გოჯით რომ ასცდა.

ფრანგების მეორე გუნდი „მეცი“ თოვლნარევ წვიმაში „ნიუკასლისთვის“ ანგარიშის გათანაბრებას ლამობდა და საწადელს, ინგლისელთა ჩეხი მეკარის, პაველ სრნიჩეკის წყალობით მიაღწია. ფრე ინგლისური და ფრანგული გუნდების ჭიდილში უჩვეულოა. 37 პაქრობიდან მოგებულის გამოვლენის გარეშე მხოლოდ მეათე დამთავრდა.

31-ე წუთი იყო, როდესაც მომხდურთა ერთადერთი ფორვარდი ფაუსტინო ასპრილია (ალან შირერი და ლეს ფერდინანდი ტრავმირებულნი იყვნენ) „მეცის“ მეკარემ ლაიონელ ლეტიზიმ წააქცია და პენალტი უბერებელმა პიტერ ბერდსლიმ გაიტანა. ზოგადად, ნიუკასლელებს ბევრი მომენტი არ ჰქონიათ. ერთი-ორჯერ დავიდ ჟინოლამ გაჰკრა ასანთს. სხვათაშორის, ჟინოლა, მას მერე რაც 1995 წელს „პარი სენ ჟერმენიდან“ ინგლისს გადაბარგდა, საფრანგეთის სტადიონებზე აღარ გამოჩენილა.

სენეგალელმა თავდამსხმელმა ამარა ტრაორმა კი საპასუხო გოლი დაუცველ კარში შეაგდო. დიდიე ლენჟის ჩაკიდულმა ბურთმა სრნიჩეკი ალბათ ჰიპნოზურ ველში გააბა და ტარორმა იოლად გაქვითა. მასპინძელთა სხვა მომენტები უშედეგო გამოდგა.

კანარის კუნძულ ტენერიფეზე კი „სანტაკრუზ დე ტენერიფემ“ როტერდამის „ფეიენოორდის“ მოჯადოებული დაცვა და კარის ხაზი ვერაფრით გადაკვეთა.

უმომენტოდ არც ჰოლანდიელები იყვნენ, მაგრამ თამაში რაც მეტად შედიოდა ეშხში, კანარელები მით უფრო სახიფათო ხდებოდნენ.

რად გინდა, მათი მონდომება ამაო დარჩა. ტყუილად ელოდა 19 ათასი კუნძულელი ერთი მხრივ თავისი გუნდის გამარჯვებას, ხოლო მეორე მხრივ ესპანურ შურისძიებას. მეთექვსმეტედფინალის პირველ შეხვედრაში ხომ „ფეიენოორდმა“ „ესპანიოლს“ ბარსელონაში 3:0 მოუგო.

ლუის არაგონესი კი აწ უკვე „ვალენსიას“ ყოფილი მწვრთნელია. რომარიოს მიღება-გაშვებამ მისი და კლუბის ხელმძღვანელთა ურთიერთობა ისე დაძაბა, რომ „ბეშიქთაშთან“ თამაშის შემდეგ, ორიოდე წუთში არაგონესმა ქუდი დაიხურა.

— თანაცხოვრება დასრულდა. იმედი მაქვს, ვალენსია ლუისს ისევე კარგად მოიგონებს, როგორც ლუისი ვალენსიას — თქვა ლუისმა.

მას სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ დარიხა ხმა, ახალ მწვრთნელად იოჰან კრუიფი მოვაო. რა შეხსენება უნდა, რომ დიდი ჰოლანდიელი „ბარსელონიდან“ წასვლის შემდეგ უმუშევარია. ამ ჭორის პასუხად „ვალენსიას“ დირექტორატმა საგანგებო თათბირის მოწყობა უახლოეს მომავალში დათქვა.

არაგონესის ბოლო თამაში მისი გუნდის გამარჯვებით 3:1 დამთავრდა. საყოველთაო აზრით, საპასუხო შეხვედრა ჯოჯოხეთური იქნება. თურქებმა ესპანეთშიც გვარიანად იჟაკაცეს, მაგრამ ბედმა სხვაგვარად განსაჯა. მე-16 წუთზე, როცა ჯერ კიდევ 0:0 იყო, სტამბოლელთა ნიგერიელმა გოლგამტანმა დანიელ ამოკაჩიმ უმარტივესი მდგომარეობიდან ვერ მიაღწია მიზანს. ორიოდ მომენტში მასპინძლები დაწინაურდნენ. გორან ვლაოვიჩმა ჩაკიდებული ბურთი კარში გაგზავნა. ექვსი წუთის შემდეგ ესპანელთა მორიგი ჩაწოდებული ალი განქურსა და მეკარე მარიან მრმიჩს შორის ისე გაიხლართა, რომ საბოლოოდ ეპიზოდი ალის ავტოგოლით დასრულდა. ამის შემდეგ „ბეშიქთაში“ გამოცოცხლდა — 33-ე წუთზე ოქთაი დერელიოღლუმ სხვაობა შეამცირა, მაგრამ გამოხდა ხუთი წუთი და შინან ღემირიოღლუ მეორე ყვითლისთვის გააძევეს.

რიცხვშეთხელებულ თურქებს „ვალენსიამ“ რამდენიმე მომენტი შეუქმნა, რომელთაგან ერთი, თამაშის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე ფრანსისკო ფერეირას გოლით დამთავრდა.

დანიურმა „ბრონდბიუმ“ თომას ჰესლერთან და მის „კარლსრუესთან“ 1:3 წააგო, რითაც უეფას თასზე, თექვსმეტმატჩიანი, შინ დაუმარცხებელი სერია დაუსრულდა.

მოდი და გაუმკლავდი ჩია ჰესლერს, რომელმაც 42-ე წუთზე ანგარიში გახსნა, ხოლო როგორც კი თამაში ცენტრიდან განახლდა, მარკ კენერის პასი ჩაჭრა და ზედ მეორეც დააყოლა.

მეორე ნახევარში „ბრონდბიუს“ რამდენიმე შანსი ჰქონდა, მაგრამ ბურთი ცოცხალი თავით არ შევიდა სტუმრის კარში, ჰესლერმა კი სამხრეთაფრიკელ თანაგუნდელს შონ დანდის საგოლე პასი მიაწოდა.

დამთავრებამდე წუთით ადრე რუბენ ბეგერმა ამ მატჩში დანიელთა ერთადერთი და უეფას თასზე თავისი პირველი გოლი გაიტანა.

„ბრიუგეს“ მოედანზე თოვლი ლამის სათხილამუროდ იდო. ასეთ ვითარებაში გერმანულმა „შალკემ“ თავიდან მასპინძლებზე უკეთესი მომენტები კი შექმნა, მაგრამ წააგო. ბელგიელთა ორივე გოლი ხორვატებმა გაიტანეს. 35-ე წუთზე მარიო სტანიჩმა მეტოქის დაცვის უხეში შეცდომა გამოიყენა, 58-ზე კი რობერტ სპეჰარმა ექვსი მეტრიდან იყოჩაღა.

ამ ორ გოლს შორის, 50-ე წუთზე, კუთხურიდან ჩაწოდებული მიხაელ ბუესკენსმა ეფექტური დარტყმით შეაგდო მასპინძელთა კარში. ეს ცოტა ხნით ადრე, „ბრიუგეს“ მეკარის დენი ვერლინდენის მიერ პენალტის მოგერიებას მოჰყვა.

შვედეთის „ჰელსინგბორგმა“ და ბელგიის „ანდერლეხტმა“ 0:0 ითამაშეს. მატჩში ორი მთავარი მომენტი იყო: ანდერლეხტელი იაუ პრეკო შვედი მეკარის სვენ ანდერსონის ძლევას ეცადა, მაგრამ გოლკიპერმა ჩინებულად იხსნა კარი. ტრიბუნაზე კი მოწინააღმდეგე ქომაგთა გამყოფი ბადე ჩაირღვა და დიდი ცეცხლისფრქვევა და ორომტრიალი დატრიალდა, თუმცა პოლიციის რაზმმა ოსტატობა გამოავლინა — ყველას ადგილი მიუჩინა.

**პაპუნა კეღია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოლონეთი

მე-16 ტური. სოკოლი — ზაგლებიე 0:0; გურნიკი — პოლონია 0:1; გკს — ამიცა 4:1; ვიძევი — ლეგია 1:0; რუხი — ჰუტნიკი 2:2; ოდრა — ბელხატოვი 4:1; ლეხი — სტომილი 0:1; შლიონსკი — რაკოვი 0:0; ვისლა — ლკს 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიძევი | 16 | 11 | 4 | 1 | 32:8 | 37 |
| ლეგია | 16 | 11 | 2 | 3 | 29:13 | 35 |
| გკს | 16 | 8 | 6 | 2 | 25:17 | 30 |
| ამიცა | 16 | 7 | 3 | 6 | 19:22 | 24 |
| რაკოვი | 16 | 6 | 5 | 5 | 16:15 | 23 |
| სტომილი | 16 | 6 | 4 | 6 | 25:22 | 22 |
| ოდრა | 16 | 6 | 4 | 6 | 25:24 | 22 |
| ვისლა | 16 | 6 | 4 | 6 | 15:17 | 22 |
| პოლონია | 16 | 6 | 3 | 7 | 16:22 | 21 |
| ლეხი | 16 | 6 | 2 | 8 | 18:21 | 20 |
| სოკოლი | 16 | 5 | 5 | 6 | 18:23 | 20 |
| ჰუტნიკი | 16 | 5 | 4 | 7 | 16:20 | 19 |
| ზაგლებიე | 16 | 4 | 6 | 6 | 16:20 | 18 |
| ბელხატოვი | 16 | 5 | 3 | 8 | 19:24 | 18 |
| ლკს | 16 | 3 | 7 | 6 | 18:22 | 16 |
| რუხი | 16 | 3 | 7 | 6 | 15:20 | 16 |
| შლიონსკი | 16 | 4 | 4 | 8 | 14:19 | 16 |
| გურნიკი | 16 | 4 | 3 | 9 | 17:24 | 15 |

## ინგლისი

### შეფილდი 2:0 ნოტინგემი

**შეფილდი:** პრესმენი, აზერტონი, ნოლანი, პემბრიჯი, ნიუსამი, უოქერი, კარბონე, ბუთი (ჰამფრიზი 89), ბლინკერი, ჰეიტი (სტეფანოვიჩი 89), ტრასტფული (ოუკსი 80)

**ნოტინგემი:** კროსლი, ლითლი, პირსი, კუპერი, ფილიპსი, ხონდერსი, კემპბელი, ვოანი (ალენი 72), იერიკანი (ჯემისი 80), ჰაალანდი, ლატერეიკი

**გოლი:** ტრასტფული (63), კარბონე (85)

**გაფრთხილება:** ვოანი

პრემიერლიგაში დაბრუნების შემდეგ „ნოტინგემმა" ზედიზედ ოთხი გამარჯვება იზეიმა სტუმრად. მათ შორის 7:1 მოგებული მატჩიც იყო. ბოლო სამი წლის მანძილზე მასპინძლებმა პირველად მოუგეს „ნოტინგემს". როტერდამის „ფეიენოორდისგან" 750 000 დოლარად შეძენილმა ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ორლანდო ტრასტფულმა პირველი გოლი გაიტანა პრემიერლიგაში. ამ მატჩამდე „შეფილდს" ათჯერ ვერ გაემარჯვა. ანგარიში ერთსაათიანი უშედეგო ბრძოლის შემდეგ გაიხსნა. მასპინძელთა კიდევ ერთმა უცხოელმა — იტალიელმა კარბონემ ბურთი ჩააწოდა, ყველას დაასწრო ნიუსამმა და საგოლე გადაცემა გაუკეთა ტრასტფულს. შეფილდელებს აქამდეც ჰქონდათ კარის ალების რეალური შესაძლებლობა, როდესაც პემბრიჯი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მან, მომენტი გააცუდა. მეტად მაღალ დონეზე ჩაატარა შეხვედრა ნოტინგემელთა მეკარე კროსლიმ. მან მრავალჯერ იხსნა თავისიანები გარდაუვალი გოლისგან, ტრასტფულისა და კარბონეს დარტყმებთან კი ვერაფერი გააწყო. მეორე გოლი, ალბათ, ამ ტურში გატანილთაგან ულამაზესი იყო. კარბონემ, მას შემდეგ, რაც პასი მიიღო პემბრიჯისგან, დაახლოებით 20 მეტრიდან დაარტყა და პრემიერლიგაში თავისი პირველი გოლი შააგდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 13 | 9 | 1 | 3 | 24:14 | 28 |
| ლივერპული | 12 | 8 | 2 | 2 | 22:11 | 26 |
| არსენალი | 13 | 7 | 4 | 2 | 24:11 | 25 |
| უიმბლდონი | 13 | 7 | 3 | 3 | 24:15 | 24 |
| ჩელსი | 13 | 6 | 5 | 2 | 22:18 | 23 |
| მანჩესტერი | 13 | 6 | 4 | 3 | 24:19 | 22 |
| ტოტენჰემი | 13 | 6 | 2 | 5 | 14:11 | 20 |
| ევერტონი | 12 | 5 | 4 | 3 | 19:13 | 19 |
| შეფილდი | 13 | 5 | 4 | 4 | 15:17 | 19 |
| ასტონ ვილა | 13 | 5 | 3 | 5 | 16:14 | 18 |
| დერბი | 13 | 4 | 5 | 4 | 14:15 | 17 |
| ლესტერი | 13 | 5 | 2 | 6 | 12:16 | 17 |
| ვესტ ჰემი | 13 | 4 | 3 | 6 | 12:17 | 15 |
| საუთჰემპტონი | 13 | 3 | 4 | 6 | 22:24 | 13 |
| მიდლსბრო | 13 | 3 | 4 | 6 | 18:23 | 13 |
| სანდერლენდი | 13 | 3 | 4 | 6 | 9:16 | 13 |
| ლიდსი | 13 | 4 | 1 | 8 | 11:20 | 13 |
| ქოვენთრი | 13 | 1 | 7 | 5 | 7:17 | 10 |
| ბლექბერნი | 13 | 1 | 5 | 7 | 11:17 | 8 |
| ნოტინგემი | 13 | 1 | 5 | 7 | 10:22 | 8 |

### პირველი დივიზიონი

#### სიტი 0:0 ჰადერსფილდი

**სიტი:** მარგეტსონი, მაკგოლდრიკი, ბრაითველი, ლომასი, საიმონსი, უახალი, სამერბი, როჯერი (დიკოვი 46), ყაველაშვილი (კლაფი 85), ქინქლაძე, როსლერი (უიტლი 75)

ამ გუნდების ბოლო შეხვედრა, „მეინ როუდზე", „სიტიმ" 10:1 მოიგო. ახალი მწვრთნელის ფილ ნილის ხელმძღვანელობით „სიტიმ" პირველი ქულა მოიპოვა. მეტოქეებს ძალზე სჭირდებოდათ ქულები. მასპინძლები ლამისაა ამ ლიგიდანაც გავარდნენ, სტუმრებს კი ექსსიტელი მწვრთნელის ბრაიან ჰორტონის ხელმძღვანელობით ზედიზედ რვა შეხვედრაში არ გაემარჯვათ, ბოლო სამ ტურში მიჯრილმა წაგებებმა კი მე-12 ადგილიდან 21-მდე ჩამოაქვეითა. სიტელთაგან, როგორც ყოველთვის, გამოირჩეოდა გიორგი ქინქლაძე, მასპინძელთა შეტევების დამწყები სწორედ ის იყო. გიოს აჩრდილივით დასდევდა დარენ ბალოკი. პირველ ნახევარში მან ხუთჯერ მოცელა „სიტის" ქომაგთა კერპი, თუმცა მსაჯს ყურადღება რატომღაც არ მიუქცევია, მეორე ნახევარში მასაც მობეზრდა ამის ყურება და გიოს წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის ბალოკი გააძევა. დიდი ხნის შესვენების შემდეგ ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა მიხეილ ყაველაშვილი, რომელმაც აშკარად გააძლიერა „სიტის" შეტევები. მიუხედავად იმისა, რომ გოლი არ გაუტანია, თავდასხმაში იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

**სხვა მატჩები:** იფსვიჩი — სვინდონი 3:2, ოქსფორდი — ბოლტონი 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 19 | 11 | 6 | 2 | 40-25 | 39 |
| კრ. პალასი | 18 | 9 | 7 | 2 | 41-15 | 34 |
| ნორვიჩი | 18 | 9 | 5 | 4 | 27-18 | 32 |
| ბარნსლი | 17 | 8 | 6 | 3 | 30-22 | 30 |
| შეფილდი | 16 | 8 | 5 | 3 | 31-17 | 29 |
| ოქსფორდი | 19 | 8 | 5 | 6 | 24-15 | 29 |
| სვინდონი | 18 | 8 | 2 | 8 | 29-22 | 26 |
| ვულვზი | 18 | 7 | 5 | 6 | 23-19 | 26 |
| სტოკ სიტი | 16 | 6 | 6 | 4 | 23-27 | 24 |
| პორტ ვეილი | 19 | 5 | 9 | 5 | 17-20 | 24 |
| ტრანმერი | 18 | 7 | 5 | 6 | 26-21 | 23 |
| პორტსმუთი | 19 | 6 | 5 | 8 | 22-25 | 23 |
| ბირმინგემი | 16 | 6 | 5 | 5 | 20-19 | 23 |
| ვესტ ბრომვიჩი | 18 | 5 | 8 | 5 | 23-27 | 23 |
| იფსვიჩი | 19 | 5 | 7 | 7 | 25-28 | 22 |
| ქუინზ პარკი | 19 | 5 | 7 | 7 | 21-26 | 22 |
| ჰადერსფილდი | 18 | 5 | 6 | 7 | 20-25 | 21 |
| ჩარლტონი | 15 | 6 | 2 | 7 | 16-22 | 20 |
| სიტი | 18 | 6 | 2 | 10 | 18-26 | 20 |
| საუთენდი | 19 | 4 | 8 | 7 | 20-31 | 20 |
| რედინგი | 17 | 5 | 4 | 8 | 20-28 | 19 |
| ბრედფორდი | 19 | 4 | 5 | 10 | 16-33 | 17 |
| ოლდემი | 19 | 3 | 7 | 9 | 20-24 | 16 |
| გრიმსბი | 18 | 3 | 5 | 10 | 19-37 | 14 |

## ბელგია

— ახლა ეს საქმე რეალური ჩანს. შარშან მოსკოვში მეკლდეურთა მსოფლიო თასის ერთ-ერთი ეტაპის ჩატარების მერე იქვე უიაა-ს მეკლდეურობის კომიტეტის სხდომა გაიმართა, სადაც დაგვაიმედეს, ეს სახეობა ოლიმპიური გახდებაო.

**— დღევანდელი გადასახედიდან როგორი შანსები აქვთ ქართველ მეკლდეურებს?**

— წინათ გვყავდა ბევრი კარგი მეკლდეური, რომლებიც იმარჯვებდნენ საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში, მაგრამ ბოლო წლები ისე მიილია, რომ ჩვენი ქვეყნის შინაურ ასპარეზობებს ვერ გავცდით. ამიტომ დღეს დღეობით რაიმე შანსზე, ვარაუდზე და დასკვნების გამოტანაზე საუბარი ძნელია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჩვენს მეკლდეურთა დიდ ტრადიციებს, მათ მიღწევებს და ამ სახეობაში სავარჯიშოდ საქართველოს ბუნებრივ პირობებს, ეს ყველაფერი დამაიმედებელი იქნება.

**— ბუნებრივ პირობებზე კი საუბრობთ, მაგრამ ახლა მეკლდეურთა შეჯიბრებები მგონი დარბაზებში, ხელოვნურ კლდეებზე გადადის, ჩვენ კი ასეთი სიმდიდრე არ გაგვაჩნია.**

— მეკლდეურები ახლა დარბაზებშიც გამოდიან და „ნამდვილ“ კლდეებზეც. ბუნებრივ კლდეებს ვერსად მოვაწყობთ და შევიძენთ. ეს იმათ იკითხონ, ვისაც ისინი არ გააჩნია, თორემ ხელოვნური კლდეები არა მგონია დიდი პრობლემა გაგვიხდეს. ეგეც რომ არა, თბილისში, „შევარდენის“ მძლეოსნურ მანეჟში გვაქვს ერთი ხელოვნური კლდე, სადაც ვვარჯიშობთ და შეჯიბრებებსაც ვაწყობთ. ეს „კლდე“ საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება და ჩვენი სურვილისამებრ შეიძლება მისი დახრილობისა და სირთულის შეცვლა. ასე რომ, მრავალი კლდის პატრონს აბაზობა არ შეგვაწუხებს

ესაუბრა
ავთანდილ ჭყვიშელი

# გონიოს ფრიალოებზე

**მიხეილ ხერგიანის სახელობის საერთაშორისო მემორიალი**

საქართველოში, ისე როგორც ბევრი საერთაშორისო შეჯიბრება, მიხეილ ხერგიანის სახელობის მეკლდეურთა მემორიალიც დავიწყებას მიეცა. ოღონდ, ეს ასპარეზობა საერთაშორისო შეჯიბრების სტატუსით დავივიწყეთ, თორემ ჩვენი ქვეყნის პირველობის რანგში იგი მაინც ტარდება. ეგ კია, მისი გამართვა 1976 წლიდან დღემდე მხოლოდ ერთხელ, ამ სამი წლის წინათ ვერ მოხერხდა. ამასთან, მემორიალმა მუდმივი მისამართი შეიცვალა — გასაგები მიზეზების გამო გაგრა მიატოვა, მაგრამ იმედია დროებით.

და მაინც, მემორიალი ზღვის სანაპიროს არ მოსცილებია, იგი ბათუმთან ახლოს, გონიოს კლდეებს შეეხიზნა. ახლა ამ კლდეებმა ხერგიანის მემორიალს მეორედ უმასპინძლა. რაკი ბათუმში შეჯიბრების მონაწილეთა წინ და უკან სიარული ძნელი იყო, მათთვის კვარიათში სხვადასხვა ოჯახებში ოთახები იქირავეს ისე, რომ სპორტსმენთა კვებაზეც მათვე უნდა ეზრუნათ. იმ ოჯახებს იმედები გაუმართლებიათ, რაკი მეკლდეურებს ერთი საყვედურიც არ დასცდენიათ არც ასპარეზობისას და არც მანამდე, როცა აქ შეკრება გაიარეს.

ამ შეჯიბრებაზე ვიხილეთ საქართველოს ალპური კლუბის წარმომადგენელი ზინა ჭკადუას გამოსვლაც, რომელიც 1986 წელს სსრ კავშირის ჩემპიონი იყო, ბოლო წლებში კი კლდეებს ჩამოშორდა, მაგრამ მათმა ძახილმა კვლავ თავისთან მიიზიდა. ზინამ დაბრუნება სწრაფ გარბენში დაკავებული მესამე ადგილით აღნიშნა. უძლიერესის სახელი კი აქ ნინო ჩარკვიანმა (თბილისი I) მოიპოვა, ხოლო ეკა ჭკადუა (საქართველოს განათლების სამინისტროს მოზარდ მთამსვლელთა რესპუბლიკური სპორტსკოლა) მეორე იყო.

ნინომ და ეკამ რთულ გარბენში იგივე ადგილები დაიკავეს, მესამეზე კი ლია ყამარაული (თბილისი I) გავიდა.

ნინო ჩარკვიანივით ვაჟებში ორივე გამარჯვება მესტიელმა ზაზა გურჩიანმა მოიპოვა.

აქ რთულ გარბენში მეორე-მესამე ადგილს ვერავინ შეეცილა ძმებ შოთა და გიორგი კომახიძეებს (რესპუბლიკური სპორტსკოლა), რომელთა მამაც ყოფილი მეკლდეური და მთამსვლელი გახლავთ.

გიორგი კომახიძე სწრაფ გარბენშიც მესამე იყო, მეორეზე კი ლენტეხელი მირზა ლიპარტელიანი გავიდა.

სპეციალისტთა თქმით, მეკლდეურებმა შარშანდელზე უკეთესი მომზადება გამოავლინეს.

რაც შეეხება გუნდურ პირველობას, აქ უძლიერესის სახელი საქართველოს განათლების სამინისტროს მოზარდ მთამსვლელთა რესპუბლიკური სპორტსკოლის წარმომადგენლებმა იმარჯვეს. მეორე ადგილი წილად ხვდა საქართველოს ალპური კლუბის გუნდს, ხოლო მესამე — თბილისის პირველ ნაკრებს.

ამ სამეულის გარდა შეჯიბრებაში კიდევ ჩვენი ექვის გუნდი მონაწილეობდა, ასპარეზობის მონაწილეთა შორის ვიხილეთ სტუმართა ერთი გუნდიც — აზერბაიჯანისა. მიწვევები სხვა ქვეყნების წარმომადგენლებსაც გაუგზავნეს, მაგრამ მათ ჩამოსვლისაგან თავი შეიკავეს, მაგრამ მასპინძლები იმედოვნებენ, რომ გაისიდან ეს ასპარეზობა ძველ მონაწილეებს დაიბრუნებს და მათთან ერთად ავტორიტეტსაც.

ავთანდილ ჭყვიშელი


"აიეტი TV"

სატელიტური ტელევიზია „აიეტი TV“ აწყობს საშობაო ტურნირს
მინი-ფეხბურთში.
ეს კომერციული ტურნირი ჩატარდება სპორტის სასახლეში,
დაიწყება 15 დეკემბერს და გასტანს 1 კვირას.
საპრიზო ფონდი — 3 000 ლარი.
მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ კლუბს, როგორც პროფესიულს,
ისე მოყვარულსაც. განცხადებების შემოტანის ვადა — 1 დეკემბრამდე.
დაწვრილებითი ცნობებისთვის მოგვმართეთ რუსთაველის 46.
☎ 93-47-33; 94-14-22 98-87-15; 98-28-77

სატელიტური ტელევიზია „აიეტი TV“ ერთადერთი ტელევიზია,
რომელიც აწყობს ESPN-ის ტრანსლაციას თბილისსა და მის შემოგარენში.
სპორტის მოყვარულებს საშუალება ექლევათ მიიღონ ინფორმაცია
სპორტის შესახებ 24 საათის განმავლობაში.
☎ 98-28-77; 98-87-15


## მინიფეხბურთი

# თბილისის ქუჩებს გზრთი-მოენატრა

15 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყება საშობაო ტურნირი მინი ფეხბურთში „აიეტი-ტვ“-ის თასზე. ამის უფრო დაწვრილებით გასაგებად მიაკითხე „აიეტის“ ცენტრალურ ოფისს ფუნიკულიორზე. მშვენივრად მოწყობილ ოფისში ფეხბურთისა და სპორტის დიდმა ტრფიალმა, „აიეტი ტვ“-ისა და „პეკინგ I“?ის გენერალურმა კოორდინატორმა თემურ ფიჩხაიამ მიმიღო...

**— რამ გადაგაწყვეტინათ ამ ტურნირის ჩატარება?**

— პასუხს ცოტა შორიდან დავიწყებ.პირველი ოფიციალური ტურნირი მინი ფეხბურთში 1974 წელს ჩატარდა და გია ხომასურიძის სახელობის გახლდათ. მასში მონაწილეობდა ყველა, ვისაც ფეხბურის თამაშზე პრეტენზია ჰქონდა, პროფესიონალი იყო თუ არაპროფესიონალი. იმ ტურნირში მეც ამონაწილეობდი. ერთი თვის შემდეგ მოეწყო ტურნირი გაზეთ „ლელოს“ პრიზზე, სადაც საუკეთესო მცველად აღიარეს. სხვათა შორის, ამ შეჯიბრში გამოდიოდა თბილისის „დინამოს“ დუბლების გუნდი, სადაც ალექსანდრე ჩივაძე და ვახტანგ კოპალეიშვილი თამაშობდნენ. თამაშობდნენ აგრეთვე ზურაბ ანიკაშვილი, ზურაბ მაისურაძე, რამაზ ჩიხრაძე, ნუკრი ღონღაძე, ზაზა ბოკერია, გელა გელაშვილი, რომლებიც საქართველოში მინი ფეხბურთის დამნერგავები და, შეიძლება ითქვას პატრიარქები არიან. სამწუხაროდ ამგვარი ტურნირები 1977 წელს შეწყდა და 1986 წელსღა განახლდა. კომკავშირმა უბნების ჩემპიონატი მოაწყო, სადაც „ვაკის“ გუნდმა გაიმარჯვა. მე ჯერ „ვაკეში“ ვთამაშობდი, შემდეგ კი ლეგენდარულ „საბურთალო 1“-ში გადავედი. სწორედ „საბურთალო 1“-მა აგემა ერთადერთი მარცხი იმ ხანად დაუმარცხებელ „მრეტებს“. ეს 1987 წელს მოხდა ოთხთა ტურნირზე, რომელშიც საქართველოში საუკეთესო ოთხი გუნდი მონაწილეობდა.

ამის შემდეგ, თუ არ ჩავთვლით „ბენდელას თასს“, მინიფეხბურთელთა სერიოზული ტურნირი თბილისში აღარ ჩატარებულა. ამიტომაც გვსურს, დავუბრუნოთ თბილისს მინი ფეხბურთი. დამეთანხმებით, ახლა თბილისის ეზოებში ბავშვები ფეხბურთს თითქმის აღარ თამაშობენ, ჩვენი მიზანი კი ისაა, ახალგაზრდობა ავიყოლიოთ და ფეხბურთის მეშვეობით მავნე ჩვევებს მოვწყვიტოთ.

**— რამდენი გუნდი მიიღებს მონაწილეობას საშობაო ტურნირში?**

— თორმეტი ან თექვსმეტი, რვამ უკვე შემოიტანა განაცხადი.გამარჯვებული ჯილდოდ 3 000 ლარს მიიღებს. ერთ პატარა საიდუმლოსა და სასიამოვნო ამბავს გაგიმხელთ — შესაძლოა, ტურნირში დავით ყიფიანმა ითამაშოს, ეს კი სტიმული იქნება ჩვენი მაყურებლისთვის. დაწესებულია უამრავი პრიზები და საჩუქარი, ჩვენ არავის დავივიწყებთ.

**— „აიეტის“ გულში ვიმყოფები და არ შემიძლია არ გკითხოთ — რაიმე სიახლეს ხომ არ უმზადებთ სპორტის მოყვარულებს?**

— რა თქმა უნდა, ვუმზადებთ, ერთ თვეში დაგვემატება 24 საათიანი რუსული სპორტული არხი „მეტეორ სპროტი“.

ერეკლე კიკლაშვილი


## განცხადება

ვაგროვებ საფეხბურთო პროგრამებს თბილისის „დინამოს“ მატჩებიდან. მესაჭიროება ევროთასებზე თბილისის „დინამოს“ პროგრამები: „ტვენტესთან“ (1971), მტკ-სთან, „კარდიფ სიტისთან“ (1976). აგრეთვე მჭირდება ევროთასებზე „დინამოს“ გასვლითი მატჩების და სსრკ ჩემპიონატის თამაშების (1936-70) პროგრამები. შესაძლებელია გაცვლა.

მისამართი: გლდანის მასივი. I მ-რ, 8 კორპუსი, II სადარბაზო, ბინა 31. ზაურ კიურჯიევი

ტელ: 67-09-31

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სდასუ ჯერჯერობით მეორეა

ვერის ბაღი. 19 ნოემბერი

**სდასუ — შევარდენი 85:69**

**სდასუ: აბრამიძე (17), დავითულიანი (14), ეგუტია (7), ჩუბინიძე (17), დერიუგინი (28); აბულაძე, მუშკუდიანი (2)**

**შევარდენი: ქევხიშვილი (15), ორჯონიკიძე (3), ჩხეიძე (23), მაჭავარიანი (2), წოწელია (14); მოლოდინაშვილი (4), გიგაური (8), იხაკაძე**

ხეირიანი კალათბურთის მოლოდინში, როცა ჩემპიონი „ვითა" საზღვარგარეთაა მისი და „დინამოს" შეხვედრამდე ვერის ბაღში კალათბურთის გულშემატკივრებს ყველაზე მეტად ამ შეხვედრის იმედი ჰქონდათ. სდასუ წელს საგრძნობლად გაძლიერდა, გუნდის ნამდვილი ლიდერია მამუკა აბრამიძე, შესანიშნავად თამაშობენ ალეკო დავითულიანი და ზურაბ ჩუბინიძე, ნიკოლოზ დერიუგინს კი თუნდაც ამ ასაკისას რომ ბევრი შეუძლია, ამაზე, ალბათ, ლაპარაკიც არ ღირს. „შევარდენმა" კი თანაბარი შემადგენლობით და შეუპოვარი თამაშით გამოიჩინა თავი. ერთადერთი მარცხი ამ შეხვედრამდე „შევარდენმა" „დინამოსგან" იწვნია, თუმცა პირველი ტაიმი 12 ქულით მოიგო. საქართველოს პირველობის მონაწილე გუნდისთვის „დინამოსთვის" ტაიმის ამ სხვაობით მოგება, მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს. მოკლედ, ამ თამაშამდე ორივე გუნდს თითო-თითო წაგება ჰქონდა (ერთს „ვითასთან", მეორეს „დინამოსთან"), დანარჩენი თამაშები კი დამაჯერებლად მოგებული. მაგრამ შეხვედრა დაძაბული არ გამოვიდა. „შევარდენი" მხოლოდ წუთნახევარი იყო წინ 4:1, შემდეგ კი ჩუბინიძემ, აბრამიძემ და დერიუგინმა ზუსტი სროლებით ათი ქულით დააწინაურეს თავისიანები. თამაშის სადავეები მტკიცედ ეპყრა ხელთ აბრამიძეს, ფართან ბატონობდა დერიუგინი, ხოლო მოწინააღმდეგის გუნდის ლიდერებს წოწელიას და ჩხეიძეს უნივერსიტეტელები მჭიდროდ მეურვეობდნენ. წოწელიამ პირველი ბურთი მხოლოდ მეთერთმეტე წუთზე ჩააგდო, რაც ამ შედეგიანი მოთამაშისთვის უჩვეულოა. მეცამეტე წუთისთვის სდასუ 31:17-ს იგებდა და აქ „შევარდენმა" თამაშში გარდატეხის შეტანა სცადა. ამოქმედდნენ ჩხეიძე და ქევხიშვილიც და პირველი ტაიმი „შევარდენმა" ექვსი ქულით წააგო — 41:47.

როგორც აღმოჩნდა, ეს დრო დროებითი იყო. მეორე ტაიმი სდასუსთვის უპრობლემოდ წარიმართა. უნივერსიტეტელებმა დასაწყისშივე გაზარდეს სხვაობა და თითქმის მაშინვე გადაწყვიტეს მატჩის ბედი. შეხვედრის ბოლომდე უნივერსიტეტელებს ჩხეიძეღა ებრძოდა. ამ გამარჯვებით სდასუ მყარად დამკვიდრდა მეორე ადგილზე (რა თქმა უნდა, სანამ „ვითა" ჩამოვა).

სდასუს კარგი თამაში ამ ჩემპიონატზე არაერთხელ გვითქვამს, მასში ახალი მოთამაშეების მოსვლამ განაპირობა. გუნდის ერთ-ერთი ლიდერია ალეკო დავითულიანი, რომელიც ლაღი და ლამაზი თამაშით გამოირჩევა. კალათბურთის მოყვარულთათვის სასიხარულო უნდა იყოს, რომ ძლიერი მოთამაშეები „ვითასა" და „დინამოს" გარდა სხვა გუნდებშიც გამოჩნდნენ, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ დავითულიანს გულშემატკივრებმა ახლაღა მიაქციეს ყურადღება.

**— ალეკო, სდასუმდე სად თამაშობდით?**

— სადღა აღარ — „მართვე", ფიზკულტურის ინსტიტუტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, „დინამო", „კაქტუსი"...

**— რა იყო ამ მომთაბარეობის მიზეზი?**

— სხვადასხვა, არაერთგვაროვანი, აღარც ღირს სალაპარაკოდ...

**— თქვენი გუნდი კარგად თამაშობს. რა გეგმებს ისახავთ?**

— ვფიქრობთ, ჩვენი შესაძლებლობით მესამე ადგილისთვის შეგვიძლია ბრძოლა. ძალიან მეგობრული და შეკრული გუნდია. ამდენი გუნდი გამოვიცვალე და არსად მიგვრძნია თავი ასე კარგად „კაქტუსის" შემდეგ. სხვათაშორის, ახლა სდასუში ოთხი კაქტუსელი ვართ: მე, აბრამიძე, ჩუბინიძე და აბულაძე, ასე რომ, გუნდთან შეჩვევა არ გამჭირვებია. მოკლედ, მესამე ადგილის მოპოვებას ალბათ შევძლებთ.

**— ძალზე სწრაფი ხართ, ნახტომიც მაღალი გაქვთ და დრიბლინგიც ნორმალური. გამთამაშებლად თუ შესძლებდით თამაშს?**

— სდასუში ახლა მეორე უკანახაზელს ვთამაშობ. ბავშვობაში მესამე ნომერი ვიყავი. გამთამაშებლად თავისუფლად ვითამაშებ. მეორე ნომერსა და გამთამაშებელს შორის დიდი სხვაობა არცაა.

**— როგორ ფიქრობთ, თქვენი ნაკლი რა არის?**

— შორიდან სტაბილურად ვერ ვესვრი.

**— პირად გეგმებზე რას გვეტყვით?**

— დაოსტატებისთვის კარგი იქნებოდა საზღვარგარეთ თამაში, ეროვნული ჩემპიონატის დონეზე კი ყოველთვის ვითამაშებ.

**სხვა მატჩები: კაქტუსი — იმერეთი 88:78, კოლხა — მაკაბი-ინტერი 85:84, დინამო — ასკ სტუ 107:85.**

ამ დღის ორი მატჩი ძალზე დაძაბული გამოდგა. კაქტუსელთა ახალგაზრდულმა გუნდმა შესანიშნავად ითამაშა „იმერეთთან", პირველი ტაიმი ოთხი ქულითაც მოიგო, მეორეშიც სულ წინ იყო, მაგრამ იმდენი სხვაობით აღარ, რომ თავისუფლად ამოესუნთქათ. 9 წუთითა და 45 წამით ადრე „კაქტუსი" 68:67 იგებდა. აქ ნათაძისა და სპარსიაშვილის ზუსტი ტყორცნებით „კაქტუსმა" სხვაობა გაზარდა 75:67. ქუთაისელთა ლიდერმა ბერეკაშვილმა გამთამაშებლის მაგიერ ცენტრად დაიწყო თამაში, მაგრამ კაქტუსელებმა ფარქვეშ თავისუფლება არ მისცეს. მატჩის ბოლოს ქუთაისელებმა პრესინგს მიმართეს, მაგრამ პატარა კაქტუსელები შესაშური სიიოლით უსხლტებოდნენ მეტოქის მარწუხებს და გამარჯვებამდე მიიყვანეს საქმე.

ამ ტურში პირველი მინისენსაციაც მოხდა. „კოლხამ", რომელსაც მანამდე არ მოეგო, დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა „მაკაბი-ინტერი". პირველი ტაიმი კოლხელებმა თორმეტი ქულით მოიგეს. მეორეში „მაკაბიმ" სცადა მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ დრო აღარ ეყო. „კოლხადან" საუკეთესო კვაჭაძე იყო — 29 ქულა, „მაკაბიდან" — ანდღულაძე — 35.

„დინამო" არმიელებთან კვალავ შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდა. დავით ბერძენიშვილი და ვასილი ოთიურიძე უცხოეთის გუნდებში წასულან გასასინჯად: ბერძენიშვილი — სლოვაკეთში, ოთიურიძე — თურქეთში. თუ ისინი იქ დაიტოვეს, „დინამო" სხვა გუნდებს კი მოუგებს, მაგრამ „ვითასთან" ცილობა ძალზე გაუჭირდება. არმიელები კი „დინამომ" ადვილად დაამარცხა. მაისურაძემ გუნდს 31 ქულა შესძინა, ცხვედიანმა — 28.

20 ნოემბერი

**კოლხა — დინამო-2 77:75**

ამ დღეს ტურის სხვა შეხვედრები აღარ გამართულა, რადგან კალათბურთელებმა ასპარეზი „მხიარული სტარტების" მონაწილეებს დაუთმეს.

ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა „კოლხამ", რომელმაც მაკაბელებს „დინამო-2"-ც მიაყოლა. მატჩი ბედი ბოლო წუთში გადაწყვიტა აქირთავასა და პირველის ზუსტმა ტყორცნებმა.

სატურნირო ცხრილში ახლა ასეთი მდგომარეობაა: „დინამო" — 8 ქულა 8-დან, სდასუ — 7 8-დან, „შევარდენი" და „აზოტი" 6 8-დან, „ვითა" 5 5-დან, „მაკაბი" 5 10-დან, „იმერეთი" 3 10-დან, ასკ სტუ 2 9-დან, „კაქტუსი" 3 9-დან, „კოლხა" 2 8-დან, „მერანი" 1 7-დან, „დინამო-2" 1 8-დან.

დღეს ითამაშებენ: ასკ სტუ — მერანი, დინამო-2 — დინამო, კოლხა — სდასუ.

ქოტე მგალობლიშვილი

# ჰაკიმს გული შეუწუხდა

„ჰიუსტონ როკიტსის" ცენტრს ჰაკიმ ოლაჯუონს სამშაბათს „მინესოტასთან" მატჩის შესვენებისას გულისცემა აუჩქარდა და თამაში მიატოვა. კალათბურთელი თავის ფეხით გავიდა „სმიტის" დარბაზიდან და საავადმყოფოში დაწვა. შესვენებისას ჰაკიმს ერთი ჭიქა წყალი დაულევია და გულისცემა წამსვე აუჩქარდა.

საავადმყოფოში ოლაჯუონს კარდიოგრამა გადაუღეს, ამ დღეებში კიდევ ჩაუტარებენ სხვადასხვა სახის გამოკვლევას და, ალბათ, მალე გამოწერენ. „როკიტსის" ხელმძღვანელობა შეშფოთებულია, მაგრამ ჰაკიმის სწრაფ გამოწერას არ იჟინებს — ბოლომდე უმკურნალეთ და ისე დაგვიბრუნეთო, უთხრეს ექიმებს.

ოლაჯუონს პირველად 1991-92 წლების სეზონში შეემთხვა მსგავსი რამ, მაგრამ მაშინ საავადმყოფოში არ დაწოლილა და ამბულატორიულად იმკურნალა. ორი წლის წინათ ჰაკიმს სისხლნაკლებობა აწუხებდა, 1990 წელს კი მარცხენა ფეხის სისხლძარღვებში თრომბი დაეცო.

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

18 ნოემბერი

**საკრამენტო კინგზი — ვანკუვერ გრიზლიზი 84:83**

19 ნოემბერი

**სიეტლ სუპერსონიქსი — ტორონტო რეპტორზი 106:98, კლივლენდ კავალიერზი — ატლანტა ჰოქსი 73:63, ნიუ იორკ ნიქსი — ორლანდო მეჯიქი 92:88, ჰიუსტონ როკიტსი — მინესოტა ტიმბერვულვზი 122:93, მილუოკი ბაქსი — დალას მავერიქსი 100:97, მაიამი ჰითი — დენვერ ნაგითსი 104:86, პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი — საკრამენტო კინგზი 92:90, ლოს ანჯელეს ლეიკერზი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 112:109**

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლანტიკის დივიზიონი | | | |
| ნიუ იორკი | 8 | 2 | 80,0 |
| ორლანდო | 4 | 2 | 66,7 |
| მაიამი | 6 | 4 | 60,0 |
| ფილადელფია | 4 | 5 | 44,4 |
| ვაშინგტონი | 4 | 5 | 44,4 |
| ბოსტონი | 2 | 6 | 25,0 |
| ნიუ ჯერსი | 1 | 5 | 16,7 |
| ცენტრალური დივიზიონი | | | |
| ჩიკაგო | 10 | 0 | 100 |
| დეტროიტი | 8 | 1 | 88,9 |
| კლივლენდი | 7 | 3 | 70,0 |
| მილუოკი | 6 | 4 | 60,0 |
| ატლანტა | 5 | 6 | 45,5 |
| შარლოტი | 3 | 5 | 37,5 |
| ტორონტო | 3 | 6 | 33,3 |
| ინდიანა | 2 | 6 | 25,0 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| შუა-დასავლეთის დივიზიონი | | | |
| ჰიუსტონი | 9 | 1 | 90,0 |
| იუტა | 5 | 2 | 71,4 |
| მინესოტა | 4 | 5 | 44,4 |
| დენვერი | 4 | 7 | 36,4 |
| დალასი | 2 | 7 | 22,2 |
| სან ანტონიო | 2 | 7 | 22,2 |
| ვანკუვერი | 1 | 10 | 0,90 |
| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
| სიეტლი | 9 | 2 | 81,8 |
| ლეიკერზი | 8 | 3 | 72,7 |
| კლიპერზი | 5 | 4 | 55,6 |
| პორტლენდი | 7 | 5 | 58,3 |
| საკრამენტო | 4 | 7 | 36,4 |
| გოლდენ სტეიტი | 3 | 7 | 30,0 |
| ფინიქსი | 0 | 9 | 0,00 |



AP

კლივლენდი — ატლანტა: მუკი ბლეილოკმა (10) კი მოატყუა ბობი ფილზი და თანაგუნდელი ტარონ კორბინი (33) სასროლ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ მის „ჰოქსს" მაინც არ ეშველა და დამარცხდა

# ოლ სტარის კანდიდატები დასახელდნენ

1997 წლის ოლ-სტარი 9 თებერვალს გაიმართება კლივლენდის „განდ არენაში". ნბა-მ გამოაქვეყნა ამ მატჩის კანდიდატების სია. ახლა გულშემატკივრებს სასტარტო ხუთეულების დასახელება მოუწევთ, ხოლო მწვრთნელებს — სათადარიგოების. გამოკითხვის შედეგები 26 იანვარს იქნება ცნობილი. მანამდე კი კანდიდატთა ვინაობას გთავაზობთ:

აღმოსავლეთის კონფერენცია

**უკანა ხაზი:** რეი ალენი (მილუოკი), ნიკ ანდერსონი (ორლანდო), ტრევის ბესტი (ინდიანა), მუკი ბლეილოკი (ატლანტა), ტერელ ბრენდონი (კლივლენდი), კრის ჩილდზი (ნიუ იორკი), ჯო დუმარსი (დეტროიტი), ანფერნი ჰარდევეი (ორლანდო), ტიმ ჰარდევეი (მაიამი), ალან ჰიუსტონი (ნიუ იორკი), ალენ აივერსონი (ფილადელფია), მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო), რეჯი მილერი (ინდიანა), რობერტ პეკი (ნიუ ჯერსი), ბობი ფილზი (კლივლენდი), გლენ რაისი (შარლოტი), სტივ სმიტი (ატლანტა), ჯერი სტეკჰაუზი (ფილადელფია), დეიმონ სტუდემეიერი (ტორონტო), როდ სტრიკლენდი (ვაშინგტონი)

ფორვარდები: ვინ ბეიკერი (მილუოკი), დერიკ კოულმენი (ფილადელფია), დეილ დევისი (ინდიანა), ჰორას გრანტი (ორლანდო), გრანტ ჰილი (დეტროიტი), ჯუონ ჰოვარდი (ვაშინგტონი), ლარი ჯონსონი (ნიუ იორკი), ტონი კუკოჩი (ჩიკაგო), კრისტიან ლეიტნერი (ატლანტა), ენტონი მეისონი (შარლოტი), ჩარლზ ოკლი (ნიუ იორკი), სკოტი პიპენი (ჩიკაგო), დინო რაჯა (ბოსტონი), გლენ რობინსონი (მილუოკი), დენის როდმანი (ჩიკაგო), დენის სკოტი (ორლანდო), ოტის თორფი (დეტროიტი), ანტუან უოქერი (ბოსტონი), კლარენს ვეზერსპუნი (ფილადელფია), კრის ვებერი (ვაშინგტონი)

ცენტრები: შონ ბრედლი (ნიუ ჯერსი), მარკუს კემბი (ტორონტო), ვლადე დივაცი (შარლოტი), პატრიკ იუინგი (ნიუ იორკი), ლუკ ლონგლი (ჩიკაგო), ალონზო მურნინგი (მაიამი), გეორგ მურეშანი (ვაშინგტონი), დიკემბე მუტომბო (ატლანტა), რიკ სმიტსი (ინდიანა), ფელტონ სპენსერი (ორლანდო)

დასავლეთის კონფერენცია

**უკანა ხაზი:** კენი ანდერსონი (პორტლენდი), ბრენტ ბერი (კლიპერზი), სემ კასელი (ფინიქსი), კლაიდ დრექსლერი (ჰიუსტონი), ჰერსი ჰოკინსი (სიეტლი), მიტჩ რიჩმონდი (საკრამენტო), ჯეფ ჰორნაჩეკი (იუტა), ჯიმ ჯექსონი (დალასი), მარკ ჯექსონი (დენვერი), ევერი ჯონსონი (სან ანტონიო), კევინ ჯონსონი (ფინიქსი), ედი ჯოუნზი (ლეიკერზი), ჯეისონ კიდი (დალასი), სტეფონ მარბერი (მინესოტა), გერი პეიტონი (სიეტლი), აიზია რაიდერი (პორტლენდი), ლატრელ სპრიუელი (გოლდენ სტეიტი), ბრაიანტ სტიტსი (დენვერი), ჯონ სტოქტონი (იუტა), ნიკ ვან ექსელი (ლეიკერზი)

ფორვარდები: შარიფ აბდურ-რაჰიმი (ვანკუვერი), ჩარლზ ბარკლი (ჰიუსტონი), ელდენ კემპბელი (ლეიკერზი), სედრიკ სებალოსი (ლეიკერზი), შონ ელიოტი (სან ანტონიო), ლაფონსო ელისი (დენვერი), მაიკლ ფინლი (ფინიქსი), კევინ გარნეტი (მინესოტა), ბრაიან გრანტი (საკრამენტო), ტომ გულიოტა (მინესოტა), შონ კემპი (სიეტლი), კარლ მელოუნი (იუტა), დენი მენინგი (ფინიქსი), ჯამალ მაშბერნი (დალასი), ანტონიო მაკდაიესი (დენვერი), კრის მულინი (გოლდენ სტეიტი), კლიფ რობინსონი (პორტლენდი), დეტლეფ შრემპფი (სიეტლი), ჯო სმიტი (გოლდენ სტეიტი), ლოი ვოიტი (კლიპერზი)

ცენტრები: ჰაკიმ ოლაჯუონი (ჰიუსტონი), შაკილ ონილი (ლეიკერზი), სემ პერკინსი (სიეტლი), ოლდენ პოლინაისი (საკრამენტო), ბრაიან რივზი (ვანკუვერი), დევიდ რობინსონი (სან ანტონიო), არვიდას საბონისი (პორტლენდი), რონი საიკლი (გოლდენ სტეიტი), ბრაიან ვილიამსი (კლიპერზი), ჯონ ვილიამსი (ფინიქსი)

## ევროპის თასი

VIII ტური. 19 ნოემბერი

A ჯგუფი

ასკ (ლატვია) — სკავოლინი (იტალია) 94:76, ნობილესი (პოლონეთი) — პოლზულა (სლოვენია) 72:63, ფენერბაჰჩე (თურქეთი) — რაბოტნიჩკი (მაკედონია) 90:61

B ჯგუფი

სლობოდა დიტა (ბოსნია) — ანტიბი (საფრანგეთი) 59:72, ჟალგირისი (ლიტვა) — ვოლტექსი (სლოვენია) 69:50, ზაგრები (ხორვატია) — სენტ-პოლტენი (ავსტრია) 96:80

C ჯგუფი

პლევენი (ბულგარეთი) — რეალი (ესპანეთი) 93:84, ულმი (გერმანია) — მზტ (მაკედონია) 94:73, ჰაპოელ გალილ ელიონი (ისრაელი) — ბენფიკა (პორტუგალია) წუხელ გაიმართა

D ჯგუფი

ნიუ ვეიე (შვედეთი) — პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) 70:104, პორტუ (პორტუგალია) — ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) 89:80, აპოელი (კვიპროსი) — ჰაგენი (გერმანია) 54:76

E ჯგუფი

ჰერცოგენბოსი (ჰოლანდია) — ირაკლისი (საბერძნეთი) 78:94, შლიონსკი (პოლონეთი) — გენტი (ბელგია) 86:77, ზადარი (ხორვატია) — აქილევსი (კვიპროსი) 89:66

F ჯგუფი

უნივერსიტატეა (რუმინეთი) — აპოლონი (საბერძნეთი) 86:107, აკვარიუსი (რუსეთი) — სტავებქსი (ჩეხეთი) 80:68, ბუდიველნიკი (უკრაინა) — სუნაირი (ბელგია) 79:69

G ჯგუფი

ტორპან პოიატი (ფინეთი) — ტდკ (ესპანეთი) 87:95, შახტიორი (უკრაინა) — ზვეზდინი (იუგოსლავია) 61:78, ავტოდორი (რუსეთი) — ინტერი (სლოვაკეთი) 94:66

H ჯგუფი

რიელო (იტალია) — ვითა (საქართველო) 92:66, ფთთ (თურქეთი) — ლონდონ თაუერზი (ინგლისი) 70:61, კორმენდი (უნგრეთი) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) წუხელ გაიმართა

## რაგბი

# კვარტეტი დაბლუჯის დაუზლის



**საქართველოს XXIX პირველობა**

| 1996 | გუმარი | ყოჩები | ქორები | აია | მ | ფ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გუმარი თბილისი | | 6:15 13:6 / 21:9 13:16 | 15:8 23:6 / 17:0 32:3 | 5:3 23-30 / 17-3 : | 8 | 3 | 19 | 42 |
| ყოჩები თბილისი | 15:6 6:13 / 9:21 16:13 | | 11:9 12:16 / 12:13 8:19 | 10-8 17:10 / 17-0 : | 6 | 5 | 8 | 38 |
| ქორები თბილისი | 8:15 6:23 / 0:17 3:32 | 9:11 16:12 / 13:12 19:8 | | 0-14 45:8 / 23-3 : | 5 | 6 | 12 | 33 |
| აია ქუთაისი | 3-5 30:23 / 3:17 - | 8:10 10-17 / 0:17 - | 14:0 8-45 / 3:23 - | | 2 | 7 | 8 | 20 |
| ლეგენდა | I II / III IV | წრე | : შინ ან ვაკეში / - სტუმრად | | | | | |

| ბომბარდირები | | ლ | გ | ს | ა | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტეფნაძე | ყოჩები | 1 | 3 | 24 | 3 | 92 |
| მოდებაძე | გუმარი | 1 | 7 | 14 | 1 | 64 |
| მაჩიტიძე | გუმარი | 2 | 5 | 7 | - | 41 |
| ე. ძაგნიძე | აია | - | 3 | 9 | 1 | 36 |
| ძნელაძე | ქორები | 1 | 3 | 6 | - | 29 |
| ჩაჩლეიშვილი | ქორ. | - | 2 | 4 | 4 | 28 |
| ბუგიანიშვილი | გუმ. | 4 | - | - | - | 20 |
| წეველიძე | ქორები | - | 1 | 5 | 1 | 20 |

მელელოვეები: ბუგიანიშვილი 4; დიდებულიძე (გუმ), ჯაფარაშვილი (ქორ), აბდალაძე (აია) 3; მაჩიტიძე, კობახიძე (გუმ), ენუქიძე (ყოჩ), წიკლაური (ყოჩ), ვაშაძე (ქორ), იობიძე (აია), ფირცხალავა (აია) 2. მეარეკნეები: ჩავლეიშვილი 4; ტეფნაძე 3

საშინაო სეზონის კულმინაცია ტრადიციულად ზამთრის პირს დაემთხვა. ფინალური ოთხეულის ტურნირილა გამოავლენს ჩემპიონს. ლიდერ „გუმარის" დაწევის პრაქტიკული შანსი მხოლოდ „ყოჩებსა" აქვთ. ამ ორიდან ვინც გინდა გახდეს ჩემპიონი, ჩვენს სარაგბო თემს მაინც ახალი ჯილა ეყოლება, რადგან შინაური პირველობების გამარჯვებულთა ნუსხაში აქამდე არც „გუმარი" ეწერა და არც „ყოჩები".

მთავარი პრობლემა ახლა სიცივე და ავდარია. საქმე ისაა, რომ სეზონის ბოლომდე ანუ შუა დეკემბრამდე შეიძლება ჩამოთოვოს. აი, მაშინ გაჭირდება ვაკის სტადიონზე მორაგბეთა შეშვება, სხვა, ფინალური მატჩების შესაფერი ასპარეზი კი ოვალური ბურთით მოთამაშეებს არა აქვთ.

მოასპარეზეებს კიდევ რა უჭირთ: ქართული რაგბი ამ ბოლო წელს სულ მთლად მსოფლიოსას რომ დაეფერა, მოედანზე ისეთი ტემპი, სიხისტე და შეხლა-შემოხლაა, რომ ძნელად მოთამაშეს შესცივდეს. აი, მაყურებელი კი ცოდოა — ტრიბუნაზე რომ დაჯდეს, უთუოდ გაიყინება.

„ყოჩებისა" და „გუმარის" ბოლო თამაშმა იმის იმედი ჩაგვისახა, რომ რჩეული ოთხეულის თამაშები უმძაფრესი და ეშხიანი იქნება. ისიც დავინახეთ, რომ რუსები შემთხვევით სულაც არ გვიძლევია. ჩვენი „ბორჯღალოსნები" გადასარევი მობურთალები არიან; თითოეულსაც ნაკრებში ადგილის შესანარჩუნებლად ფიცხელი კონკურენციის გაძლება უწევს.

რაგბის კავშირიც მუშაობს კადრების გასაზრდელად. პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ ფაქსიც კი აფრინა ახალ ზელანდიაში და იქ ხუთ ძალიან კარგსა და პერსპექტიულ მოთამაშეს საქმეს უჩარხავს, რათა ესენი გაისად, ჩვენებურად გაზაფხულს, როცა სამხრეთ ნახევარსფეროში სეზონი გაჩაღდება, ამ ქვეყანაში მოაწყოს. პერსპექტივაში საქართველოს ნაკრების ახალზელანდიური ტურნეცაა.

ნაკრებს ფირა-ს პირველობის ნახევარფინალი გაისად, 20 აპრილს ელის. 11 მაისს ფინალია. როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, თუკი სულ ბოლო მატჩი ესპანელებთან მოგვიწევს, ევროპის იბერიელები ყაბულსა ყოფილან, კავკასიის იბერიას ჩამოვიდნენ და აქ გვეთამაშონ. ეს ერთი-ორად ზრდის იმის შანსს, რომ ფირა-ს ბოლო ჩემპიონი საქართველო იყოს, რაკი იმავე სარწმუნო წყაროების მიხედვით საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ფირა დაიშლება და მის ნაცვლად ფეხბურთის უეფა-ს ანალოგიური ევროპის რაგბის ასოციაცია შეიქმნება.

ქართველი „ბებერი ხარები" გუშინ ერთი კვირით საფრანგეთს გაფრინდნენ, რა თქმა უნდა, ჯეელობის გასახსენებლად. შემადგენლობაში „გუმარისა" და „ყოჩების" თავკაცებიც – გურამ მოდებაძე და გელა მიქაბერიძე ჰყავთ. არა-სარაგბო მიზეზის გამო შინ ვერაა „ქორთა" მწვრთნელი თემურ ბენდიაშვილიც. მოკლედ, მხოლოდ „აიას" აზლავს მთავარი მოძლვარი – დუგლას კავთელაშვილი, რომელიც ჯერ ორ ლიდერს ამასპინძლებინებს, მერე კი თბილისს ზედიზედ სამჯერ ჩამოუძლვება გუნდს, რომელსაც კავშირის ნაჩუქარი ახალთახალი ფრანგული კვართები ეცმება.

ბევრ საინტერესოს გვპირდება ბომბარდირთა შეჯიბრიც. ამათი მონაგარის დაჯამებისგან აქამდე თავი იმად შევიკავეთ, რომ ჯერ ერთი, ოქმების ნაწილი უგულოდაა შევსებული და მეორეც, ონსტატობა დაბალ თამაშში ვლინდება და არა მაჩანჩალების 90:0 ნგრევისას. ამიტომაა, რომ ზემოთ მხოლოდ დიდი ოთხეულის მიერ გამართული ურთიერთ-მატჩები გავითვალისწინეთ.

გაირკვა, რომ წელსაც ყველაზე შედეგიანი „ყოჩი" ბესო „წისქვილიჩ" ტეფნაძეა, რომელიც გვარიანად უსწრებს ორ გუმარელს – შოთა „შოკა" მოდებაძეს და კახაბერ „ჩიჩმია" მაჩიტიძეს. საგულისხმოა ისიც, რომ „ყოჩებს" ძირითად კონკურენტებთან შეხვედრისას ლელო ძნელად გააქვთ და მეტწილად ბესოს დარტყმებზე არიან დამოკიდებული, „გუმარში" კი ხან ერთი დამრტყმელია ძირითადი და ხან მეორე.

**ხვალ** „აია" „ყოჩებს" უმასპინძლებს, ვაკეში კი „გუმარი" და „ქორები" მეხუთედ ითამაშებენ. ამ თამაშის დაწყების ნაღდი დრო დღის 4 საათია.



ფინალში ჯეიმზ სმოლმა მუცლის სალმობით სიქა-გაცლილ მთაკაც ჯონა ლომუს გასაქანი არ მისცა

## დეტექტივი მწვრთნელი

ვერ მოისვენა ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსის" ყოფილმა მწვრთნელმა ლორი მეინსმა, საკუთარი ხარჯით იქირავა სამხრეთაფრიკელი კერძო დეტექტივი და გამოარკვია, რომ შარშანდელი მსოფლიო თასის ფინალის წინ მავან ოფიციანტ ქალს, სახელად სუზის მოუწამლავს ზელანდიელთა ჩაი და ყავა, რის გამოც ამათ ფალარათი დამართნიათ და ფინალში ერთობ სუსტად უთამაშიათ. ამიტომ გვაჯობა აფრიკამო — განაცხადა მეინსმა სატელევიზიო ინტერვიუში, რომელიც მისი ავტო-ბიოგრაფიული წიგნის გამოშვებას მიეძღვნა.

## ჩოგბურთი

# თაიგული და ბომბონერი

ჰანოვერში რვა უძლიერესი ჩოგ. შეკრებილა და ბტპ-ის ტურის მსოფლიო ჩემპიონატს თამაშობს, ნიუ-იორკის „მედისონ სქვეარ გარდენში" კი 16 უკეთესი ქალი ვტა-ს ტურის დასკვნით შეჯიბრში — „ჩეისის" (სპონსორია!) პირველობაში მონაწილეობს.

ჰანოვერში ორი ჯგუფია: წითელი — პიტ სამპრასი (აშშ), ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი), ბორის ბეკერი (გერმანია) და ანდრე აგასი (აშშ), და თეთრი — მაიკლ ჩანგი (აშშ), გორან ივანიშევიჩი (ხორვატია), თომას მუსტერი (ავსტრია) და რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია). ერთწრიანი ტურნირების შემდეგ ორ-ორი მოწინავე ნახევარფინალში გავა.

პრეზენტაციას კუჭის აშლილობის გამო ვერ დაესწრო აგასი. თუ იგი წუხელ ვერ ეთამაშებოდა სამპრასს, მას შვედი თომას ენკვისტი შეცვლიდა.



გაბიმ ბურთები ხალხს დაურტყა

სამშაბათის პირველ ტურში კრაიჩეკმა 62 წუთში 20 ეისით დაამარცხა ჩანგი 6:4, 6:4; ივანიშევიჩმა 51 წუთში 21 ეისით დათრგუნა მუსტერი 6:4, 6:4; ხოლო 12 ათასი მაყურებლის ფავორიტმა ბეკერმა 17 ეისით 78 წუთში გააგორა კაფელნიკოვი 6:4, 7:5.

ბეკერი შარშანდელი ჩემპიონია და ბოლო სამი ქულა ეისით მოიპოვა. ივანიშევიჩს ისევ ბაფთა შეუბამს კინკრიხოზე, ჩანგს კი ძლიერ დაწყვიტა გული ხაზის მსაჯის ერთმა საჭოჭმანო გადაწყვეტილებამ, მეორე ხელში მოწოდების წაგებად რომ დაუჯდა. მით უფრო, თუ ის მომენტი დიდ ეკრანზე რამდენჯერმე გაიმეორეს.

ნიუ-იორკში ორშაბათს გაცილება მოუწყვეს არგენტინელ გაბრიელა საბატინის, ვინც ამ შეჯიბრის ორგზის გამარჯვებულია — 1988 და 1994 წლებში. გაბიმ ოთხი ბურთი მაყურებლებში გაგზავნა, მერე კი შტეფი გრაფმა თაიგული მიართვა, მონიკა სელეშმა — საყვარელი ბომბონერი. როგორც ამბობენ, ჩოგბურთელი ამიერიდან ესტრადაზე გადავა, რაშიც გარეგნობა დიდად შეეწევა.

იმავე საღამოს 16 წლის მარტინა ჰინგისმა (შვეიცარია) 40 წუთში მოუღო ბოლო რუმინელ ირინა სპირლეას 6:2, 6:1, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლინდზი დავენპორტმა (აშშ) 6:3, 6:2 გააგდო ბარბარა პაულუსი (ავსტრია), მაგრამ გერმანელი ანკე ჰუბერი 5:7, 3:6 დამარცხდა ივა მაიოლისთან (ხორვატია).

სამშაბათს დრამა დატრიალდა: სელეშს გაუმიზეზდა საოპერაციო მარცხენა ბეჭი და პირველ ხელში 4:5 რომ აგებდა იაპონელ კიმიკო დატესთან, მამის მითითებით დანებდა. არადა, დატესაც აცილებდნენ სარბიელიდან და გოლფის ყვანჯთა კომპლექტი უძღვნეს, გამოგადგებაო.

შარშანდელმა ჩემპიონმა გრაფმა 48 წუთში დაანგრია კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) 6:1, 6:4.

## აის-ჰოკეი

### ეროვნულ ლიგაში

# ინდიელებს გოლებიც გააქვთ

**18 XI.** ბოსტონი — სან-ხოსე 4:2, ფლორიდა — ვაშინგტონი 2:4, ფინიქსი — დეტროიტი 2:2, კალგარი — რეინჯერზი 5:3

ვაშინგტონში მოულოდნელად დამარცხდა აღმოსავლეთის ლიდერი ფლორიდა. მატჩის ბედი პირველივე პერიოდში გადაწყდა. გამოირჩა საიმონი. ამ ინდიელმა სეზონის სტარტი გამოტოვა, რაკი კოლორადოს ხელმძღვანელობას ფინანსურ პირობებზე ვერ შეუთანხმდა, ბოლოს კი ვაშინგტონში აღმოჩნდა და თუ ადრე „პოლიციელობდა", ახალ კლუბში პირველ სამეულში გამოდის. საიმონმა ორი შაიბა შეაგდო და პარტნიორთან — ექს-პარტფორდელ ნიკოლიშინთან და გუნდის მთავარ სნაიპერ ბონდრასთან (2-2 პასი) ერთად ლომის წილი დაიდო. ამ მოგებით ვაშინგტონმა პირველად გადალახა 50-პროცენტიანი ზღვარი. მისმა მცველმა გონჩარმა ზედიზედ მესამედ თამაშში გაიტანა გოლი.

კვლავ უხეიროდ ითამაშა რეინჯერზმა. პიტსბურგში შთამბეჭდავ გამარჯვების შემდეგ ვერაფერი გაწყო კალგარისთან. შეხვედრის მიწურულს ნიუ-იორკელებს შანსი გაუჩნდათ — ლიჩმა (სულ 7 შაიბა) გრეცკის პასით ანგარიში 3:4-მდე შეამცირა, მაგრამ ცოტა ხანში კალგარელმა განიემ (1+2) ცარიელ კარში შეაგდო შაიბა. განიეს გარდა ფლერიმ (2+1, სულ 10 შაიბა) გამოიჩინა თავი.

დეტროიტის კაპიტანმა აიზერმანმა ახალი, ოთხწლიანი კონტრაქტი დადო თავის ერთადერთ კლუბთან და სან-ხოსესთან ბრწყინვალე თამაშის შემდეგ ფინიქსსაც აართვა ქულა: მისი გადაცემის შემდეგ გატანა გოლი მაკარტიმ ბოლოსწინა წუთზე. მანამდე რენიკმა (3 შაიბა 2 მატჩში) და კილგერმა (1995 წლის დრაფტის მეოთხე ნომერი) დააწინაურეს ფინიქსელები.

ბოსტონის რიგებში კვლავ გამოჩნდა ლიგის ერთ-ერთი სახელიანი ბურკი, რომელიც 5-ჯერ იყო ლიგის საუკეთესო მცველი. ბურკმა მხოლოდ ერთი პასი გააკეთა, მაგრამ, სამაგიეროდ, მისმა პარტნიორებმა იმარჯვეს და ედმონტონთან 0:6 გამანადგურებელი მარცხის შემდეგ მესამედ მოიგეს. კლუბის საუკეთესო ბომბარდირმა პაინცემ მე-9 შაიბა შეაგდო.

**19 XI.** პიტსბურგი — სენტ-ლუისი 4:2, ოტავა — ნიუ-ჯერზი 1:2, ვაშინგტონი — ბოსტონი 2:2, ტამპა — ლოს-ანჯელესი 3:0, ტორონტო — ბუფალო 4:3, ედმონტონი — ჩიკაგო 4:4, ვანკუვერი — დალასი 2:0

კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფმა პიტსბურგმა დაცვის გაძლიერების მიზნით შეიძინა ცნობილი ლატვიელი, რუსეთის ნაკრების წევრი კასპარაიტისი, მეტსახელად „მოჩვენება". პირველი მატჩი დებიუტანტმა გოლით აღნიშნა, სეზონში პირველი შაიბაც გაიტანა და წერტილი დაუსვა პიტსბურგის გამარჯვებას. თუმცა უპირატესობა პირველივე პერიოდში „პინგვინებს" ჰქონდათ — გააქტიურებულმა ჩეხმა ნედვედმა ორჯერ შეუგდო ფიურის. მონდომებამ სენტ-ლუისს ვერ უშველა და მოგების ხუთმატჩიანი სერია ვეღარ გააგრძელა. მთავარმა სნაიპერებმა: ჰალმა (9) და კემპბელმა (10) პირადი ანგარიში გაზარდეს. ორი პასი პიტსბურგის ლიდერმა — ლემიემ გააკეთა.

ფლორიდას მარცხით ისარგებლა ნიუ-ჯერზიმ — „ეშმაკებმა" ოტავა სძლიეს. გუნდს გამარჯვება 52-ე წუთზე მსოფლიო თასის მონაწილემ — ოდელეინმა მოუტანა. თამაში დაძაბული, მაგრამ საკმაოდ კორექტული იყო. გუნდებმა მხოლოდ 4-4 საჯარიმო წუთი მოაგროვეს.

მეტად საჭირო ორი ქულა მიითვალა ტამპამ. ამან წელს კარგად დაიწყო, მაგრამ ბოლო დროს ძირითადი მეკარის – პუპას ტრავმის გამო ხელი მოეცარა, თუმცა ლოს-ანჯელესთან შემცვლელმა – შვედმა გაიბრწყინა (31 მოგერიება და მეორე „მშრალი" მატჩი სეზონში).

ვაშინგტონ – ბოსტონის მატჩში კვლავ მასპინძელთა პირველი სამეული გამოირჩა. პირველ პერიოდში ნიკოლიშინმა (4 შაიბა) პარტნიორების კომბინაცია გოლით დაასრულა. თამაშის დამთავრებამდე 40 წამით ადრე მცველმა ტინორდიმ ბონდრას პასის შემდეგ შეაგდო და გუნდი დივიზიონში მე-3 ადგილზე გაიყვანა. მანამდე ვეტერანმა ოუთსმა ბოსტონი დააწინაურა.



ბუფალო თავის არენაზე ტაბლოს დამხობის შემდეგ ტორონტოს ესტუმრა. უხეში და ძალისმიერი თამაშის მიუხედავად, რითაც ბუფალო ცნობილია, ტორონტოელებმა მაინც დაჯაბნეს მეტოქე და პირველივე პერიოდში სამი უპასუხო შაიბა შეუგდეს. მასპინძლებმა ეს უპირატესობა ძლივს შეინარჩუნეს. შვედმა სუნდინმა მე-13 გოლი გაიტანა და ლამის მეორე სნაიპერს – სისარელის დაეწია.

ედმონტონი – ჩიკაგოს შეხვედრა ყველაზე კარგი სანახავი გამოდგა. თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში მასპინძლები იყვნენ წინ (არნოტი 1+2, რუსი მცველი მირონოვი 2 პასი), მაგრამ ჩიკაგოელთა პირველმა სამეულმა – ჟამნოვმა, ამონტემ და დებიუტანტმა მორომ 3-ჯერ გაათანაბრა. საბოლოოდ ამონტემ (12) ჟამნოვის გადაცემის შემდეგ სამმატჩიანი უილბლო სერია (0 ქულა) შეწყვიტა.

დღის ბოლო მატჩში დასავლეთის ერთ-ერთი ლიდერი – დალასი მოულოდნელად დამარცხდა ვანკუვერში. გადამწყვეტი შაიბა დიდი ხნის უგოლობის შემდეგ ვანკუვერის კაპიტანმა ლინდენმა შეაგდო.

**ბომბარდირები:** ფორსბერგი 32 (11+21), საკიკი (ორივე კოლორადო) 32 (9+23), გრეცკი (რეინჯერსი) 28 (9+19), სუნდინი (ტორონტო) 27 (13+14), კოივუ (მონრეალი) 26 (9+17), სელიანე (ანაჰაიმი) 25 (11+14), ლემიე (პიტსბურგი) 25 (8+17), აიზერმანი (დეტროიტი) 24 (6+18), არნოტი (ედმონტონი) და ნოლანი (სანხოსე) 23 (9+14), რექი (მონრეალი) 23 (8+15), ოზოლინში (კოლორადო) 23 (6+17), იაგრი (პიტსბურგი) 22 (15+7), ლიჩი (რეინჯერზი) 22 (7+15), პალფი (აილენდერზი) 21 (11+10), რუჩინსკი (მონრეალი) 21 (10+11)

**სნაიპერები:** იაგრი 15, სისარელი (ტამპა) და სუნდინი 13, ამონტე (ჩიკაგო) და ლეკლერი (ფილადელფია) 12, სმიტი (ედმონტონი), ფორსბერგი, სელიანე, პალფი და გატრნერი (ფინიქსი) 11

**ასისტენტები:** საკიკი 23, ფორსბერგი 21, გრეცკი 19, აიზერმანი 18, უეიტი (ედმონტონი), ოზოლინში, კოივუ და ლემიე 17, ფრენსისი (პიტსბურგი) 16, რექი, ნიკოლზი (სან-ხოსე) და ლიჩი 15

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ჰართფორდი | 17 | 9 | 3 | 5 | 53-49 | 21 |
| ბოსტონი | 18 | 7 | 4 | 7 | 53-59 | 18 |
| ბუფალო | 19 | 8 | 1 | 10 | 50-58 | 17 |
| მონრეალი | 20 | 7 | 3 | 10 | 74-79 | 17 |
| ოტავა | 19 | 6 | 5 | 8 | 52-57 | 17 |
| პიტსბურგი | 19 | 6 | 1 | 12 | 55-73 | 13 |
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ფლორიდა | 19 | 11 | 5 | 3 | 61-40 | 27 |
| ნიუ-ჯერზი | 18 | 11 | 1 | 6 | 46-43 | 23 |
| ვაშინგტონი | 20 | 10 | 1 | 9 | 57-56 | 21 |
| ფილადელფია | 21 | 10 | 1 | 10 | 56-58 | 21 |
| რეინჯერზი | 22 | 7 | 4 | 11 | 71-67 | 18 |
| ტამპა | 18 | 7 | 2 | 9 | 59-60 | 16 |
| აილენდერზი | 18 | 4 | 6 | 8 | 45-55 | 14 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დალასი | 20 | 13 | 1 | 6 | 60-49 | 27 |
| დეტროიტი | 21 | 11 | 3 | 7 | 57-41 | 25 |
| ჩიკაგო | 22 | 10 | 3 | 9 | 58-55 | 23 |
| სენტ-ლუისი | 21 | 11 | 0 | 10 | 67-64 | 22 |
| ტორონტო | 20 | 9 | 0 | 11 | 61-67 | 18 |
| ფინიქსი | 18 | 6 | 3 | 9 | 43-50 | 15 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| კოლორადო | 22 | 13 | 4 | 5 | 82-48 | 30 |
| ლოს-ანჯელესი | 20 | 9 | 3 | 8 | 58-62 | 21 |
| ვანკუვერი | 18 | 10 | 0 | 8 | 54-55 | 20 |
| კალგარი | 20 | 9 | 2 | 9 | 54-48 | 20 |
| ედმონტონი | 21 | 9 | 1 | 11 | 71-70 | 19 |
| სან-ხოსე | 21 | 7 | 4 | 10 | 57-68 | 18 |
| ანაჰაიმი | 20 | 4 | 3 | 13 | 54-77 | 11 |

**სამველ ღარიბიანი**

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29